ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვან დედას 6 წელი შეეფარდა

გვ.5



24 სექტემბრიდან

თენგიზ პაპუაშვილი

**საინგილო**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




პარასკევი, 27 სექტემბერი, 2019 №229 (8183) ფასი: 60 თეთრი

# „დამიჭირეთ იმიტომ, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე შეგიქმენით“

ირაკლი ოქრუაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ღია წერილი მისწერა



გვ.2

## ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილს სახეში ხელი გაარტყა

„მზად ვარ, გავიდე ქუჩაში“



გვ.2

## გია ხუხაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ისტორიაში დარჩება, როგორც დიდი გაუგებრობა“

გვ.3





გვ.3

## „გახარიას პრემიერობა ივანიშვილს ძვირად დაუჯდება“

## „„ოცნებამ“ ზურაბიშვილი ყურებით გამოიჭირა“



გვ.3



გვ.4

## „პრეზიდენტის მიერ შეწყალებაზე მორატორიუმის გამოცხადება საშინელებაა!“

სამართალი გვ.5

## იაგო ნაზიერიძის სამუდამო პატიმრობა სააპელაციომ უცვლელად დატოვა



## „არ ვაკეთებ კომენტარს“

ანგი ხუციშვილი პროკურატურამ გამოკითხა



## პროკურატურამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი გამოკითხვაზე დაიბარა





## ლევან ჯიქურის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება




**2** ტვ „მთავარის“ 2,5%-იანი წილი ნიკა რურუას ქალიშვილმა იყიდა




**5** „ჩემს შვილს პოლიციელი ურტყამდა. მეც ავიღე ჯოხი და პოლიციელს ჩავარტყი“

რა მოხდა ბოდბისხევში



**6** ინდონეზიაში მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა



**7** ლიონელ მესი: „ჩემი ბავშვობის ოცნება ნიუელზ ოლდ ბოიზის მაისურით თამაშია“

ISSN 1987-9385

# „დამიჭირეთ იმიტომ, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე შეგიქმენით“

## ირაკლი ოქრუაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ღია წერილი მისწერა

გუშინ, 26 სექტემბერს, ირაკლი ოქრუაშვილის ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნდა მისი ღია წერილი ბიძინა ივანიშვილისადმი.



მასში ნათქვამია:

– თქვენო უგანათლებულესობავ და ყოვლად უჭკვიანესობავ!

ალბათ გასაგებია მიზეზები, რატომაც მოგმართავთ უშუალოდ თქვენ. ერთი ისაა, რომ ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი ხართ, მეორე ის, რომ ყველა ბოროტება თქვენგან მოდის და მესამე, უშუალოდ თქვენი გადაწყვეტილებით გამომკეტეს ციხეში.

მეტი სიცხადისთვის, ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება.

2004 წელს, სააკაშვილი თქვენთან პირველი შეხვედრიდან აღფრთოვანებული და გაბრუებული რომ დაბრუნდა, მაშინვე მივხვდი, რასაც წარმოადგენდით. მიშას ადამიანების სწორად ამოცნობის უნარი არასოდეს გააჩნდა და ვატყობდი, რა ხაფანგიც დაუგეთ.

მალევე მივხვდი, თქვენი სახით რა ფენომენთანაც გვქონდა საქმე – ფარისევლობასთან, მლიქვნელობასთან, ცბიერებასთან, სიმხდალესთან, ორპირობასთან, შურთან, ხელისუფლების ხელში ჩაგდების ჟინთან, ქვეყნის და ხალხის სიყვარულის არქონასთან, ჯამბაზობასთან და ბევრ კიდევ სხვა რამესთან, მაგრამ იმდენად იყო სააკაშვილი თქვენით „აღფრთოვანებული“ და პატარკაციშვილისგან შეშინებული, რომ დაიჯერა თქვენი „გულწრფელი“ მოკავშირეობა და კეთილსინდისიერება.

შესაბამისად, არავის მოსმენა არ სურდა, ვინც თქვენზე რაიმე კრიტიკულს იტყოდა. შედეგიც შესაფერისი იწვნია.

მაშინვე მივხვდი, რასაც ეფუძნებოდა თქვენი ცხოვრების ფილოსოფია, როდესაც გვითხარით, ბადრის ფული და ქონება წაართვით, ეგეთი ადამიანები ყველაზე მტკივნეულად მაგას აღიქვამენო. ამას იმიტომ ამბობდით, რომ თქვენი ცხოვრების ფილოსოფია მხოლოდ ფულია.

ძალაუფლება მხოლოდ ფულის შესანარჩუნებლად გჭირდებოდათ, მაგრამ მთავარს ვერ ხვდებით – ფულით სახელს, პატივისცემას და ხალხის სიყვარულს ვერასოდეს იყიდით. გადახედეთ საქართველოს ისტორიას ან თქვენს ეკას სთხოვეთ, წაგიკითხოთ და მიხვდებით, რომ ეს ასეა, – წერს ირაკლი ოქრუაშვილი.

მისი აზრით, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რამდენადაც განუსაზღვრელი არ უნდა იყოს იგი, ავტომატურად არ იძლევა მისი გამოყენების ცოდნას.

– ძალაუფლება ხელში ჩაიგდეთ, მაგრამ მისი სწორად გამოყენების უნარი არ გაგაჩნიათ. ამის დასტური კი თქვენი მმართველობის 7 წლის თავზე თქვენი მაგინებელი ადამიანების რაოდენობაა, რაც, დამეთანხმებით, არც თუ ისე ცოტაა.

მმართველობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მმართველმა საზოგადოების აზრი გაითვალისწინოს, რისი უნარიც ასევე არ გაგაჩნიათ, რადგან საზოგადოებად შუშის სასახლეში თქვენს სასთუმალთან მჯდომ რამდენიმე მლიქვნელს მიიჩნევთ.

ასევე ვერ ითვალისწინებთ ერთ უმთავრეს რამეს, თქვენი ძალაუფლება დგას მხოლოდ მეხუთე კოლონის მხარდაჭერაზე, კოლაბორაციონისტებზე, კონფორმისტებზე, პუტჩისტებზე, საბჭოთა ინტელიგენციაზე, ქურდებზე, კრიმინალური



მენტალიტეტის წვრილფეხობაზე, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის არმქონე 15 ლარად გაყიდულ ხალხზე და ა.შ. – წერს ოქრუაშვილი.

ის თვლის, რომ ამ ხალხის ივანიშვილისადმი ერთგულება მხოლოდ მის ფულს ეფუძნება, ასეთი ტიპის ხალხს კი არსად არასდროს გაუმარჯვია.

– ალბათ ქვეყნისთვის სჯობია, შენი ხელისუფლებისადმი ლტოლვა კომუნისტების 70-წლიანი მმართველობის დროს გამოგევლინა, რათა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის საფრთხე არ შეგექმნა, მაგრამ მაშინ ვერაფერს მიაღწევდი, რადგან მაშინ ფულით ძალაუფლებას ვერ ჩაიგ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილს სახეში ხელი გაარტყა

## „მზად ვარ, გავიდე ქუჩაში“

გუშინ, 26 სექტემბერს, დეპუტატმა ეკა ბესელიამ უმრავლესობის წევრ ვანო ზარდიაშვილს სახეში ხელი გაარტყა.

ინციდენტი იურიდიული კომიტეტის სხდომაზე მოხდა.

დეპუტატებს შორის ჩხუბი ვანო ზარდიაშვილის რეპლიკას მოჰყვა ბესელიას შესახებ მაშინ, როცა გედევან ფოფხაძე მოსამართლეობის კანდიდატს კითხვას უსვამდა. აღნიშნულზე ბესელია გაღიზიანდა.

– ნაძირალა, ადეიშვილის ხელის ბიჭო, ნარკოტესტის გამო რომ გამოგაბუნძულეს, შენ ნაძირალა, – ასე მიმართა ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილს.

ბესელიას გაღიზიანება ზარდიაშვილის რეპლიკამ გამოიწვია, რომელიც ბესელიას მორალს შეეხებოდა.

– რაშია საქმე, რა ბესელიას მორალი?... თქვენ თავზე ნუ გაგივიდათ... ჩმორო, არაკაცო, – მიმართა ბესელიამ ზარდიაშვილს.

ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ დავით მათიკაშვილმა ბესელიას სხდომათა დარბაზიდან გაყვანა მოითხოვა.

– თავი შეიკავეთ, ქალბატონო ეკა, დარბაზში ბრძანდებით და საზოგადოება გიყურებთ. სასწრაფოდ დაატოვებინეთ ეკა ბესელიას დარბაზი. ღირსეული ქცევით უნდა იყოს გამორჩეული დეპუტატი და არა ისე, როგორც თქვენ იქცევით ახლა აქ. დაატოვებინეთ სასწრაფოდ, წესის დამრღვევს, – მიმართა მათიკაშვილმა მანდატურებს.

მომხდარზე კომენტარი მოგვიანებით ვანო ზარდიაშვილმა გააკეთა.

– ეკა ბესელიასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი კითხვა. იმისთვის, რომ მან ამ კითხვებს არ გასცეს პასუხი, იკადრებს ყველაფერს, იზამს ყველაფერს, ოღონდ ეს კითხვები პასუხგაუცემელი დარჩეს, – თქვა მან.

დეპუტატის აზრით, ბესელია ცდილობს, კეთილსინდისიერი პოლიტიკოსის ნიღაბი მოირგოს.

– ქალბატონი ეკა საკმაოდ კარგად ახერხებს, რომ მოირგოს სხვადასხვა ნიღაბი და საზოგადოების წინაშე წარსდგეს, როგორც კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი, თუ სამოქალაქო ღირსებების მქონე ადამიანი. რეალურად იგი აბსოლუტურად სხვა მოვლენაა, – განაცხადა ვანო ზარდიაშვილმა.



ის არ აპირებს, პარლამენტის ეთიკის საბჭოს მიმართოს.

– ეთიკის საბჭოში საკითხის შეტანა იქნებოდა ჩემთვის მიზანმიმართული ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ საზოგადოებას დაენახა ეკა ბესელიას სახე. ჩემი აზრით, დღეს მან საკმაოდ კარგად აჩვენა თავისი სახე და შესაბამისად, ეკა ბესელიასთან მიმართებაში დამოკიდებულება საზოგადოებისთვის მიმინდვია, – განაცხადა ზარდიაშვილმა.

მისი განცხადებით, მას მაპროვოცირებელი არაფერი უთქვამს.

– გედი ფოფხაძემ ჩემი მორალი ახსენა და მე უბრალოდ ვიკითხე, რომ გედი ფოფხაძეს რა გააკვირვებდა ჩემს მორალში, როდესაც ეკა ბესელიას მორალი არ აკვირვებს. ამაში რა არის შეურაცხმყოფელი ან მაპროვოცირებელი? – იკითხა დეპუტატმა ზარდიაშვილმა.

* * *

გუშინვე ეკა ბესელიამ მოსახლეობას მოუწოდა, პარლამენტთან შეიკრიბონ იმ დღეს, როცა პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მხარი უნდა დაუჭირონ.

ბესელია მზად არის, აქციაზე ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად დადგეს.

დეპუტატი ამბობს, რომ დასაცავია ქვეყნის მომავალი.

– მინდა, ხალხს მივმართო. თუ „ქართული ოცნება“ იმ მოსამართლეებს გაიყვანს, რომლებსაც ხელი აქვთ გასვრილი იმ უბედურებაში, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა, მოვუწოდებ ყველას, კენჭისყრის დღეს გამოვიდნენ ქუჩაში, რომ დეპუტატებმა გაიგონონ მათი ხმა. მზად ვარ, გავიდე ქუჩაში, – თქვა ბესელიამ.

დეპუტატის თქმით, ენმ-სთან კონტაქტი არ აქვს და მათი გადასაწყვეტია, სად დადგებიან.

# ზალკალიანი ნიუ იორკში ლავროვს შეხვდა

## „ჩვენ ვიმსჯელეთ ყველაფერზე“

გუშინ, 26 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ნიუ იორკში შეხვდა.



ზალკალიანი აცხადებს, რომ ლავროვთან შეხვედრა ქართულმა მხარემ სტრატეგიულ პარტნიორებთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ „პირველი შესაძლებლობა იქნებოდა, ასეთ დონეზე რუსეთის ფედერაციისთვის პირდაპირ გვეთქვა სათქმელი“.

– მთელი კვირის განმავლობაში ორმხრივი შეხვედრების დროს პარტნიორებთან განვიხილავდით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე მდგომარეობას, განსაკუთრებით ბოლო ორი თვის განმავლობაში მიმდინარე უკანონო ბორდერიზაციის საკითხს და ცნობილია საზოგადოებისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იყო ძალიან მკაფიო და მკაცრი შეფასებები ამასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ჩვენ ამ დღეების განმავლობაში ყველა ძირითად აქტორთან, მათ შორის აშშ-სთან, ევროკავშირის წარმომადგენლებთან, ასევე გაეროს ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე მქონდა სერიოზული დისკუსია, თუ რა დამატებითი საშუალებები და მექანიზმები უნდა ამოქმედდეს იმისთვის, რომ ეს პროცესი იყოს შეჩერებული.

გუშინ შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან მქონდა შეხვედრა, სადაც იყო ინიცირებული მათი მხრიდან შესაძლებლობა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის და ამ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციასთან არის დაკავშირებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უკანონო ბორდერიზაციასთან, გვემსჯელა შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იქნებოდა შვეიცარიის მისიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

ამაზე, რა თქმა უნდა, გვქონდა ასევე კონსულტაციები ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, სტრატეგიულ პარტნიორებთან. გადავწყვიტეთ, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგანაც პირველი შესაძლებლობა ექნებოდა, ასეთ დონეზე რუსეთის ფედერაციისთვის პირდაპირ გვეთქვა სათქმელი, ანუ ის მდგომარეობა, სიმართლე, რაც არის დაკავშირებული იქ შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან მიმართებაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვიმსჯელეთ ყველაფერზე. მსჯელობის ძირითადი თემა იყო დეოკუპაცია და უკანონო ბორდერიზაცია. ასევე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული ბევრი პრობლემური საკითხი, მათ შორის, რაც დაკავშირებულია ჟენევის მოლაპარაკებებთან და იქ საქართველოს პოზიციასთან და საქართველოს პოზიციასთან მიმართებაში რუსეთის დამოკიდებულებასთან.

ჩვენ ამ შეხვედრის შესახებ აუცილებლად ვაცნობებთ ჩვენს პარტნიორებს და გავაგრძელებთ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის დეესკალაციისკენ, – განაცხადა ზალკალიანმა.

# ტვ „მთავარის“ 2,5%-იანი წილი ნიკა რურუას ქალიშვილმა იყიდა

## „გამყიდველს ისევ არაფერი, კომპანიას ისევ 250.000 დოლარი“




ტვ „მთავარის“ 2,5%-იანი წილი ნიკა რურუას ქალიშვილმა იყიდა.

ამის შესახებ არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ფეისბუქის გვერდზე დაწერა:

„ვაგრძელებთ წარმატებების ისტორიას, კიდევ უფრო განსაკუთრებული ელფერით:

კვლავ 2.5% გაიყიდა. ამჯერად, მყიდველი ჩვენი ფანტასტიური კაცის, ყველას რომ გვაკლია, აი იმის – ნიკა რურუას – ქალიშვილი მარი ანა რურუაა.

აშშ-ს მოქალაქე, სხვათა შორის.

გამყიდველს ისევ არაფერი, კომპანიას ისევ 250.000$“

# ახმეტის სასაფლაოზე ახალგაზრდა კაცის დამწვარი ცხედარი იპოვეს




ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენის სასაფლაოების მიმდებარედ მწყემსმა 33 წლის ახალგაზრდა კაცის დამწვარი ცხედარი იპოვა.

ახალგაზრდას რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ. ის სასტუმროში მუშაობდა.

შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია ბენზინიანი ავზიც.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარიას გაპრემიერება ივანიშვილს ძვირად დაუჯდება“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოცნება“ 2020-ში საბოლოოდ დასრულდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**

***– დიმიტრი, 20 ივნისს დასრულდა თქვენი ორგანიზებული აქციები. კეთდება შეფასებები, რომ ამ შემთხვევაში გახარიამ გაიმარჯვა, რადგან მისი გადაყენება ვერ შეძელით.***

– ის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ რაღაც პროცესებში გამარჯვებას მიაღწია და ვგულისხმობ „ქართულ ოცნებას“, თავშივე დამარცხებულია, იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდებისგან სულ ახალ-ახალი ჯგუფები იქმნება. აქამდე „სირცხვილია“ იყო, ახლა „შეცვალე“ შეიქმნა. ეს ახალგაზრდები აპირებენ, გამუდმებით დისკომფორტი შეუქმნან ხელისუფლებას და ეს არ იქნება ერთჯერადი.

ჩვენ ვნახეთ უკვე აქციები, მათ შორის, სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციასთან. ის, რომ რაღაც გაჩერდა, პროცესები შეჩერებულია და ვიღაცამ გაიმარჯვა, არის თავშივე ტყუილი და მცდარი მოსაზრება. ამიტომ გეუბნებით, რომ გიორგი გახარიას გაპრემიერება ბიძინა ივანიშვილს ძალიან ძვირად დაუჯდება, აუცილებლად გადაიყოლებს მასაც და „ქართულ ოცნებასაც“.

***– კვლავაც აპირებთ, დისკომფორტი შეუქმნათ ხელისუფლებას?***

– ასე იქნება. არაფერი დამთავრებულა და, სადაც გახარია მივა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები იქნებიან, სადაც პრეზიდენტი იქნება და სადაც ბიძინა ივანიშვილი იქნება, ყველგან მივალთ და ყველგან გავაპროტესტებთ გიორგი გახარიასა და 20 ივნისის მოვლენებს.

უამრავი დანაშაული აქვს „ქართულ ოცნებას“ ჩადენილი, მათ შორის თუნდაც მაჩალიკაშვილის საქმე, თუნდაც ის, რომ ამდენი გამოუძიებელი და გახმაურებული საქმე დაგროვდა, მუხთარლის საქმე იქნება ეს თუ სხვა, რომელიც მრავლადაა. აი, ამ ყველაფრის გასაპროტესტებლად ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ დროსა და საშუალებას.

***– მაჩალიკაშვილი ახსენეთ და სასამართლომ მისი ძმისშვილიც და დანარჩენებიც, ვინც 20 ივნისის საქმეზეა დაკავებული, კვლავ პატიმრობაში დატოვა. ისინი პოლიტპატიმრები არიან?***

– 20 ივნისის მოვლენებმა დაგვანახა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს პირად პატიმრობაში ჰყავთ გავრილოვის ტყვეები. ის ადამიანები, რომლებმაც გავრილოვი გააგდეს და სახე შეუნარჩუნეს ქვეყანას, რომლებმაც გააპროტესტეს ოკუპაცია და დაიცვეს ქვეყნის სუვერენიტეტი, ადგნენ და დაიჭირეს.



ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს საქართველოს ჰყავს პოლიტპატიმრები, გმირები, რომლებიც იცავდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. „ქართული ოცნება“ მალე დასრულდება და ეს ადამიანებიც მალე დატოვებენ საპატიმროებს. მოდის არჩევნები და „ოცნება“ ამ არჩევნებს ველარ მოიგებს. ეს გამორიცხული ამბავია!

***– თუმცა „ოცნება“ სწორედ იმისთვის ემზადება, რომ დარჩეს მესამე ვადით.***

– ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს მთავრობა საზოგადოებას დაშორდა, ხალხში არ გამოდის და ისევ ის განწყობები ჰგონია, რაც იყო 2013 წელს და 2014 წელს. ადამიანებს უკიდურესად უჭირთ და უაღრესად გაბრაზებული არიან ხელისუფლებაზე.

ის, რაც გააკეთეს ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ 2018 წელს, როდესაც დაშინებით, მოსყიდვითა და შანტაჟით მიაღწიეს სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას, ახლა აღარ გამოუვათ.

***– პრეზიდენტი ბოლო პერიოდია, სერიოზულ სკანდალშია გახვეული. რას იტყვით ამ შეწყალების შესახებ?***

– ბიძინა ივანიშვილმა დაგვისვა პრეზიდენტი, რომელიც პირდაპირ არის კრიმინალების მიერ არჩეული და ეს შეეტყო კიდევაც. მისი პირველი შეწყალება იყო ის, რომ მან შეიწყალა 22 წლის პოლიციელის მკვლელი, შეიწყალა 18 წლის მოზარდის მკვლელი, შეიწყალა ძებნილი პირი, ახლა გავიგეთ, რომ ნარკორეალიზატორებიც შეიწყალა. ეს ქალი პირდაპირ ასრულებს ბიძინა ივანიშვილის დაკვეთას. ვინმეს თუ ჰგონია, რომ სალომე ზურაბიშვილს თავისით მოაგონდა ეს სახელები და გვარები, ჩამოწერა და მერე შეიწყალა, ძალიან ცდება.

***– ზურაბიშვილი არაფერ შუაშია?***

– მას რა სიაც მიუტანა ბიძინა ივანიშვილმა, იმ სიას მოაწერა ხელი და სწორედ ის ხალხი შეიწყალა, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ეს კრიმინალები სჭირდება ხოლმე არჩევნებზე. ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ საარჩევნო უბანზე დგანან ხოლმე ეს ე.წ. ძველი ბიჭები, სინამდვილეში სუს-ის აგენტები, რომლებიც პოლიციასთან ერთად ატარებენ არჩევნებს. აი, ასეთი ხალხის მხარდაჭერით არის სწორედ სალომე ზურაბიშვილი გაპრეზიდენტებული და მადლობის ნიშნად ისიც დათანხმდა და ხელი მოუწერა ბიძინა ივანიშვილის სიას.

***– მაშინ გამოდის, რომ ეს აჟიოტაჟი ტყუილადაა ატეხილი? არავინ დაისჯება?***

– ეს ასე მარტივად არ ჩაივლის, საზოგადოებამ როგორ შეიძლება აპატიოს ე.წ. მთავარსარდალს, რომ 22 წლის პოლიციელის მკვლელი შეიწყალა.

პოლიციელის მკვლელმა მოიხადა სასჯელი 3 წელი და გავრილოვი ვინც გააგდო ქვეყნიდან, ვინც სახე შეგვინარჩუნა, ჩვენი დამოუკიდებლობა დაიცვა, 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება. წარმოიდგინეთ, რანაირ ქვეყანაში ვცხოვრობთ!

***– პროკურატურამ აღნიშნული საქმის გამოძიება დაიწყო, იბარებენ დაკითხვაზე კონკრეტულ პირებს. თუ ბიძინა ივანიშვილი დგას ამ ყველაფრის უკან, თვალში ნაცარს გვაყრიან და ისრების სხვა მიმართულებით გადატანა მიდის?***

– ასეთი აღძრული საქმე უამრავი გვაქვს ნანახი და საზოგადოება ვერ გაიხსენებს ვერც ერთ ისეთ ფაქტს, „ქართული ოცნების“ პერიოდში, რომ გახმაურებულ საქმეზე პროკურატურამ საქმე აღძრა და შემდგომ ამის გამოძიება მოხდა. ეს საქმე ხალხის დასამშვიდებლად აღიძრა. საკუთარ დანაშაულს ხომ არ გამოიძიებენ, ბიძინა ივანიშვილს ხომ არ დასჯიან?!

ამიტომ ეს საქმე ისევ ისე შემოიდება თაროზე, როგორც სხვა ბევრი საქმე შემოდებულა „ქართული ოცნების“ პერიოდში.

***– ანუ არ ელოდებით პრეზიდენტის იმპიჩმენტს?***

– პრეზიდენტს იმპიჩმენტი რატომ უნდა მოუწყონ? თავის დაშავებულზე პრეზიდენტს ხომ არ გაასამართლებენ?! შესაბამისად, არანაირ იმპიჩმენტს ამ ხელისუფლებისგან არ ველოდები, ხოლო შეიცვლება თუ არა 2020-ში ხელისუფლება, რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილსაც აღარ ერქმევა ამ ქვეყნის პრეზიდენტი.

***– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ 2020-შიც არ დარჩება „ოცნება“?***

– თუ ასე მოხდა, მაშინ ეს ქვეყანა საბოლოოდ გადაკეთდება ბიძინა ივანიშვილის შპს-დ. ივანიშვილი ქართველ ხალხს არჩევნებს ველარ მოჰპარავს, ხალხი აღარ დაუშვებს, რომ ივანიშვილმა მიიტაცოს ხელისუფლება.

# გია ხუხაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ისტორიაში დარჩება, როგორც დიდი გაუგებრობა“

## „პრეზიდენტი რაც მეტჯერ ჩახტება ტლაპოში, ხელისუფალი მით უფრო მშვიდად დაიძინებს“

იაგო ნაცვლიშვილი

25 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ზურაბიშვილის გამოსვლა, ფაქტობრივად, ნელ-თბილი იყო. მის განცხადებაში არ იგრძნობოდა მკაფიო გზავნილები და ოკუპანტი რუსეთის სახელიც მხოლოდ რამდენიმეჯერ იყო ნახსენები. საერთოდ არ უხსენებია მას მცოცავი ოკუპაცია და ე.წ. საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებიდან საქართველოს მოქალაქეების მოტაცების ფაქტები, რაც, პრაქტიკულად, ყოველდღე ხდება, თუმცა ოკუპაციის თემაზე ნაწილობრივ მაინც ისაუბრა.

სალომე ზურაბიშვილის გზავნილებისა და პრეზიდენტის გარშემო არსებული ვითარების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– რას იტყვით სალომე ზურაბიშვილის გამოსვლაზე გაეროში, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ნელ-თბილი, რადგან რამდენიმეჯერ გაკვრით იყო ნახსენები რუსეთი. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენ?***

– სიმართლე გითხრათ, არანაირი შთაბეჭდილება არ დამრჩენია, იმიტომ, რომ არსებულ ვითარებაში მისი გამოსვლის ტექსტზე საუბარი უსაგნოა. ამ ქალბატონის ირგვლივ ძალიან სერიოზული სკანდალი ვითარდება. მე მისთვის ძალიან დიდი ხანია, რაც დიაგნოზი მაქვს დასმული,



პრაქტიკულად, წარდგენის დღიდან, რომ ის აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ამ თანამდებობისთვის. ამას ვამბობ მისი თვისებებიდან გამომდინარე.

სალომე ზურაბიშვილი არის არაკომპეტენტური და ამპარტავანი. ეს არის ორი ძალიან მძიმე თვისება პოლიტიკოსისა და მით უმეტეს სახელმწიფო მოღვაწისთვის. ასე რომ, რა მნიშვნელობა აქვს, რა სიტყვით გამოვიდა. დამერწმუნეთ, 2 კაცი არ უსმენდა გაეროში მას. ვინც უსმენდა, ერთ ყურში უშვებდა და მეორით უკან გამოდიოდა. აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას იტყოდა ზურაბიშვილი ასამბლეაზე.

მსოფლიო დღეს სულ სხვა პრობლემების წინაშე დგას და ერთადერთი, რასაც შეიძლება ჰქონოდა მნიშვნელობა, არის ის, ორმხრივი შეხვედრები თუ იქნებოდა და ესეც არ იყო. ტრამპთან გადაიღო სურათი და ზელენსკის „კორიდორში“ ელაპარაკა. ეს იყო და ეს. ამის განხილვას – ეს რატომ არ თქვა და ის რატომ არ თქვა, საერთოდ აზრი აქვს.

***– თუმცა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გამოდის ასეთ მაღალ ტრიბუნაზე და ასეთი გამოწვევების წინაშეა ქვეყანა, ბუნებრივია, მან მკაფიოდ უნდა გააჟღეროს თავისი გზავნილები. არ მეთანხმებით?***

– კი ბატონო, მაგრამ რა გზავნილებზე ვსაუბრობთ?! ამ ქალბატონს არანაირი გზავნილები არ უშველის. მას მცირე პოლიტიკური ალღო რომ მაინც ჰქონოდა, ასეთი გზავნილები უნდა გაეჟღერებინა თუნდაც თავდაცვის მიზნით – როდესაც საქართველოში ჩამოვიდოდა, სალაპარაკო მაინც ჰქონოდა და ამით მცირე რეაბილიტაცია მოეხდინა იმ უბედური მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიც ის ჩავარდა, მაგრამ ამის ალღოც არ აქვს. ეს არის აბსოლუტური გაუგებრობა ქართულ სინამდვილეში და ისტორიაში დარჩება, როგორც ერთი დიდი გაუგებრობა.

***– აღნიშნეთ, რომ მას ორმხრივი შეხვედრებიც არ ჰქონდა, ტრამპთან გადაღებული ფოტოთი და ზელენსკისთან დერეფანში შეხვედრით დაკმაყოფილდა. იმაზე მიანიშნებთ, რომ დიპლომატადაც არ ვარგა?***

– რაღაც დიპლომატიური უნარ-ჩვევები დაზეპირებული აქვს თავისი წარსულიდან. უნარ-ჩვევები აქვს, დრეს კოდი მაინცდამაინც ვერ ისწავლა, მაგრამ რაღაც მონაცემები აქვს, საშუალო რანგის დიპლომატისთვის დამახასიათებელი, მაგრამ არანაირად პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის. შეიძლება, რაღაცები არ იცოდე და არაკომპეტენტური იყო, მაგრამ სწავლის სურვილი მაინც გქონდეს. ეს ქალბატონი აქეთ გვასწავლის და გვარიგებს ჭკუას, რომ რაც არ უნდა ჩაიდინოს, თურმე ის არ უნდა ვაკრიტიკოთ, ამით სახელმწიფო ზიანდება, იმიტომ რომ ის ამ დროს უცხოეთშია რაღაც ვიზიტით. აგერ ტრამპი თავის ქვეყანაშია და გაეროში მისი გამოსვლის პარალელურად დემოკრატებმა იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყეს. ეს რომ ელაპარაკა ტრამპს, ხომ წარმოგიდგენიათ, რაც მოხდებოდა!

ასეთ გაუგებრობაშია სალომე ზურაბიშვილი და აქეთ გვასწავლის ჭკუას, რა უნდა გავაკეთოთ. მას ახასიათებს ამპარტავნობა, ჰგონია, რომ რადგან საფრანგეთში გაიზარდა, ჩვენზე ჭკვიანია და უფლება აქვს, ჭკუა გვასწავლოს. ნამდვილად არ აქვს ამის უფლება. მე შემიძლია, ასამდე ადამიანი ჩამოგითვალოთ, რომლებსაც მასზე უკეთესი განათლებაც აქვთ, უკეთესი ხედვებიც და უფრო კომპეტენტურებიც არიან, რაც მთავარია, უკეთესი ადამიანური თვისებები გააჩნიათ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ოცნებამ“ ზურაბიშვილი ყურებით გამოიჭირა“

## თორნიკე შარაშენიძე: „არა მგონია, გადადგომის საკითხი დადგეს“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გაეროში სიტყვით გამოსვლაზე საუბრობს.**

***– ბატონო თორნიკე, გაეროში პრეზიდენტის გამოსვლას ოპოზიციამ სუსტი უწოდა. თქვენი შეფასება როგორია?***

– სალომე ზურაბიშვილს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას ვარსკვლავები რომ არ მოუწყვეტია, ფაქტია. საერთოდ, უკეთესია, ნაკლებად ისაუბროს. მთავარია, თავი არ მოგვჭრა.

***– უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის გამოსვლის მაგალითი მოჰყავთ, პარალელს ავლებენ, როგორი გულის ამაჩუყებელი და ადეკვატური გამოსვლა ჰქონდა უკრაინის ლიდერს.***

– ჯერ ერთი, ზელენსკი მსახიობია და მას მსგავსი გამოსვლები ყოველთვის უკეთ გამოუვა. მეორე, სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა გაეროს ტრიბუნაზე ზუსტად ადეკვატური იყო იმ პოლიტიკის, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს. ეს არის პოლიტიკა – ჩუმად უნდა ვიყოთ, რომ რუსეთს მაინცდამაინც ყელში არ გავეჩხიროთ. ამიტომ მეტის მოლოდინი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ უკვე ისე მიდის საქმე, რომ მალე „ქართული ოცნებისგან“ მოგვიწევს ზურაბიშვილის დაცვა.

***– როგორც ჩანს, არც უმრავლესობას მოეწონა პრეზიდენტის გამოსვლა. ირაკლი სესიაშვილმა თქვა, მეტს მოველოდიო. ანრი ოხანაშვილმა, გემოვნების ამბავიაო. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილისგან აქვთ მწვანე შუქი?***

– რა თქმა უნდა! რომ არა ივანიშვილის ნება, როდის გაუბედავთ მსგავსი რამ?! ეტყობა, რაღაც მოხდა. მე ეჭვი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი პირველივე ინტერვიუში იტყვის, რა მოხდა მას და ზურაბიშვილს შორის და ყველაფერი გასაგები გახდება.

***– გავიგებთ, რა მოხდა ივანიშვილსა და ზურაბიშვილს შორის?***

– ივანიშვილი ხომ ღიად ყვება ხოლმე ყველაფერს, ამ შემთხვევაშიც, დარწმუნებული, ვარ იტყვის.

***– შეიძლება, ვერ დაიმორჩილა? უკეთესად გაიცნო?***

– ასე თუ ისე, ალბათ თავიდანვე იცნობდა, მაგრამ, შეიძლება, ფიქრობდა, რომ უკეთესად გააკონტროლებდა და საქმეს არ გაუფუჭებდა, მაგრამ, ფაქტია, გაუფუჭა. ივანიშვილი, მგონი, გაბრაზებულია.



***– პრეზიდენტ მარგველაშვილს 5 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მიეცა შანსი, გაეროში წასულიყო. რატომ გაუშვეს სალომე ზურაბიშვილი, დაპირისპირების გაღრმავებას მოერიდნენ?***

– მარგველაშვილთან და ზურაბიშვილთან დაპირისპირების მიზეზები სრულიად განსხვავებულია, ამიტომ ამ დაპირისპირებას ერთმანეთს ნუ შევადარებთ. მარგველაშვილს, ბოლოს და ბოლოს, გადადგომა მოსთხოვეს და ზურაბიშვილისთვის ჯერ არ მოუთხოვიათ.

***– შეიძლება, დაპირისპირება აქამდეც მივიდეს?***

– არა, არა მგონია. რამდენი უნდა შეეშალოს ივანიშვილს, როგორ, ყველას შერჩევაში შეცდა?! ეს უკვე მის წინააღმდეგ იმუშავებს. ამიტომ, არა მგონია, გადადგომის საკითხი დადგეს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ კომპრომატი უკვე ამოუქექეს და ყურებით გამოიჭირეს შეწყალების სკანდალის შემდეგ.

***– ეს კომპრომატი სააშკარაოზე რამდენად გამოვა?***

– არა, გარეთ გამოტანას რა აზრი აქვს, შიგნით ექნებათ და, როდესაც დასჭირდებათ, ამოუწევენ, დააშანტაჟებენ. გარეთ თუ გამოვა, მაშინ ხალხი გადადგომას მოითხოვს თუ, რასაკვირველია, ასეთი კომპრომატი არსებობს. ამიტომ ამის შემდეგ ბევრად უფრო კომფორტული იქნება ივანიშვილისთვის ზურაბიშვილთან ურთიერთობა.

თუ აქამდე, მაგალითად, ელჩების დანიშვნაზე გამოთქვამდა პრეტენზიას ან მსგავს რამეზე, ამის მერე ბევრად უფრო ჩუმად იქნება. მისი პრეტენზიები ვიზიტებში სიარულით შემოიფარგლება. მეტი ფუნქცია კონსტიტუციით არც აქვს, იმდენად შეუკვეცეს უფლებამოსილებები.

***– შემდეგ წელს შეიძლება არც გაუშვან გაეროში?***

– გამოსვლის ტექსტი სრულად შეესაბამებოდა „ქართული ოცნების“ რიტორიკას. ამიტომ რატომ არ გაუშვებენ?! უმტკივნეულო ტექსტი იყო.

# „პრეზიდენტის მიერ შეწყალებაზე მორატორიუმის გამოცხადება საშინელებაა!“

## მამუკა ტუსკაძე: „ზურაბიშვილის კორუფციონერობას გამოვრიცხავ“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ შეწყალების სკანდალურ თემაზე საუბრობს.**



**მამუკა ტუსკაძე:**
– რაც პრეზიდენტმა ჩაიდინა, კანონის დარღვევა არ არის, თუმცა დოკუმენტებზე პრეზიდენტის ხელმოწერამდე, შეიძლება. შეწყალებული ადამიანების ისტორიის, ბიოგრაფიის შესწავლის პროცესში დაშვებული იყო გადაცდომა.

შეიძლება, ვიღაცის კორუფციის, ქრთამის აღების ან სხვა მიზნების გამო ძალიან დიდი კითხვის ნიშნები ჩანს, მაგრამ პრეზიდენტს შეცდომა არ დაუშვია და კანონი არ დაურღვევია.

***– აბა, რა დაარღვია?***

– უფრო მეტად მორალურ-ზნეობრივი კოდექსი დაარღვია, რომელსაც ჩვენთან კანონმდებლობა არ არეგულირებს, მაგრამ პრეზიდენტს მკვლელები არ უნდა შეეწყალებინა იმიტომ, რომ ისინი არიან მკვლელები, თუმცა ამას კანონი არ უზღუდავს. ამით ვიღაცამ ისარგებლა, პრეზიდენტს შეუტანა დოკუმენტები.

***– საინტერესოა, ვინ იყო ის ვიღაცა.***

– ის ვიღაც არ არის დიმიტრი გაბუნია. დიმიტრი გაბუნია არის კვალიფიციური იურისტი და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ეს საქმე არ აბარია.

***– თუმცა გარკვეული პირები მას პირდაპირ ადებდნენ ხელს.***

– ვინ ადებდა?

***– მაგალითად, დეპუტატი ირმა ნადირაშვილი.***

– ირმა ნადირაშვილის განცხადებებში არის პოლიტიკური მომენტი. ის პასუხს აგებს, ასე არ შეიძლება, ადამიანი დაადანაშაულო იმაში, რის დასადასტურებლად პატარა ნატამალიც კი არ არის. გამორიცხულია, დიმიტრი გაბუნიას გადაცდომის პატარა ნატამალი ჰქონდეს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვიღაცამ ისარგებლა კანონის ხარვეზით.

***– რა ხარვეზით ისარგებლეს?***

– ხარვეზს დავარქმევ იმას, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტი არ უნდა იყოს გამოყენებული მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების მიმართ. მკვლელობასა და სხვა მძიმე დანაშაულებში მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ შეღავათი.

***– რა შეღავათი უნდა ჰქონდეთ?***

– 20 წლის შემდეგ უვადოდ მსჯავრდებულებსაც კი აქვთ უფლება, მათი საქმე გადაიხედოს. ეს არის სასამართლოს პრეროგატივა. სასამართლომ უნდა განიხილოს და ან 20 წელი აკმაროს, ან უვადო პატიმრობა 22-25 წლამდე დაუყვანოს.

***– შეიძლება გამოვრიცხოთ ის, რომ გარკვეული პირები, რომლებიც შეწყალების აქტში მოხვდნენ, უდანაშაულონი იყვნენ?***

– იმ მოტივით შეწყალება, პირი არ იყო დამნაშავე და მის მიმართ სასამართლომ განაჩენი არასწორად დაადგინაო, არასწორია. სასამართლოს გადაწყვეტილებების გასწორება პრეზიდენტის პრეროგატივა არ არის.

***– ხომ შეიძლება, პრეზიდენტმა ეს მოტივი გაითვალისწინოს?***

– შეიძლება, მაგრამ პრეზიდენტის შეწყალების აქტი გარკვეული წესების საფუძველზე გამოიცემა.

***– მაგალითად, რა წესების დაცვაა საჭირო?***

– სასჯელის მინიმუმ ნახევარი უნდა ჰქონდეს მოხდილი, რომ პრეზიდენტმა შეიწყალოს.

ამ სამი შემთხვევიდან ორ შემთხვევაში მსჯავრდებულებს სასჯელის ნახევარი მოხდილი არ ჰქონდათ, ანუ მინიმალურ კრიტერიუმსაც არ აკმაყოფილებდნენ.

***– ერთი, მგონი, ციხეში საერთოდ არ მჯდარა.***

– ეგ მეოთხე პირია. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა, რომელიც შეიწყალეს, 10 წელი ჩეხეთში მოიხადა, 3 წელი – აქ. სულ 11 წელი და 3 თვე ჰქონდა მისჯილი.

***– მგონი, მამა ამბობდა, მკვლელი ციხეში 3 თუ 4 წელი იჯდაო.***

– 3 წელი აქ მოიხადა, 10 წელი კი – ჩეხეთში. ამას ყურადღებას არავინ აქცევს. მოკლულის მამასა თუ ბაბუას, რომელიც ყველა ტელეეთერში იყო წარმოდგენილი, უნდოდა, მკვლელს ის 10 წელი და 3 თვე საქართველოში მოეხადა. არადა, ამ ადამიანს ერთხელ უკვე ამ საქმეზე სასჯელი მოხდილი ჰქონდა ჩეხეთში. რაც აკლდა, აქ მოიხადა. ის რამდენიმე თვეში სასჯელაღსრულების დაწესებულებას დატოვებდა. სხვა გზა არ იყო, უნდა შეეწყალებინა.

მე მაინც მგონია, რომ ამ საქმეში კორუფცია იყო, რადგან მართლა ისეთ ადამიანებს აქვთ შეწყალებაზე განცხადება დაწერილი, რომელთა შეწყალება თავისუფლად შეიძლებოდა. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად მიწევს ამ საქმეებში ჩართვა. უწვრილმანეს დანაშაულზეც კი, ნახევარი რომ აქვს მოხდილი, პრეზიდენტი მაინც არ იწყალებს. ეს ადმინისტრაციის დანაშაული უფროა, ვიდრე უშუალოდ პრეზიდენტის.

***– შეწყალება იმთავითვე პირის მხრიდან დანაშაულის აღიარებას ნიშნავს?***

– არა.

***– როდესაც პირი განცხადებას წერს, შემიწყალეო, ეს არ ნიშნავს, რომ პირი დანაშაულს აღიარებს?***

– სწორი კითხვაა. სააკაშვილის დროს მსჯავრდებული შეწყალების თხოვნის განცხადებაში წერდა: ვინანიებ ჩადენილ დანაშაულს და გთხოვთ, შემიწყალოთო.

2013 წლის 27 მარტიდან, ალეკო ელისაშვილის დროს მიღებული დებულებით, განცხადების ფორმულირება შეიცვალა. აღარ იწერება, ვინანიებო. ოჯახის წევრს, დედას, მამას, პირდაპირ შეუძლიათ დაწერონ განცხადება შეწყალებაზე. ხვდებით, რამხელა განსხვავებაა? სააკაშვილის დროს განცხადებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩაწერილი, ჩადენილ დანაშაულს ვინანიებო.

2013 წელს შემუშავებულმა იმ დებულებამ თქვა, რომ არ გვჭირდება პირის მონანიება. აპირებდნენ, მასობრივად შეეწყალებინათ რეჟიმის დროს უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანები, თუმცა მერე ეს მაინც არ გააკეთეს.

***– რომელი ფორმულირება სჯობია, ვინანიებ დანაშაულს თუ ახლანდელი, სადაც მსჯავრდებულის განცხადებაში ეს არ წერია?***

– სჯობია, ვინანიებ დანაშაულს, რადგან კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და ინანიებს. განცხადების ტექსტში უნდა იწერებოდეს, ვინანიებო. დედას, მამასა და ბებიას არ უნდა ჰქონდეთ შეწყალებაზე განცხადების დაწერის უფლება. შეწყალება არის პერსონალური და განცხადება აუცილებლად პირადად პატიმარმა ან მისმა ადვოკატმა უნდა დაწეროს.

***– ფაქტია, რომ პრეზიდენტს ადმინისტრაციის თანამშრომელმა ხელმოსაწერად შეწყალების თაობაზე დოკუმენტები შეუტანა და აუხსნა, რა დოკუმენტები იყო. ახლა საუბარია შესაძლო კორუფციაზე. შეიძლება, კვალი პრეზიდენტამდე მიდიოდეს?***

– არა და გეტყვით, რატომ. მე პირადად ვიცნობ ქალბატონ სალომეს, მისი ხასიათიც ვიცი. ამიტომ გამორიცხულია, პრეზიდენტი კორუფციაში იყოს გახვეული, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, სხვა ვიღაც ადმინისტრაციის თანამშრომელი კორუფციაში იყოს გახვეული.

***– დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში იტყვის მის ვინაობას.***

– შესაძლებელია. თუ აქვს მტკიცებულებები, დაასახელებს. ეს საქმე ისე არ ჩაივლის, ვიღაც დაისჯება. თუმცა პრეზიდენტი უკვე დასჯილია, მომხდარით გაოგნებულია, თან საშინელება ჩაიდინა, როცა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა – პატიმრებს, რომლებიც ყოველ დღესასწაულზე ელოდებიან შეწყალებას, ეს უფლება მოუსპო.

ამის გაკეთება ყოვლად დაუშვებელია. პრეზიდენტი ამერიკიდან რომ ჩამოვა, მორატორიუმის მოხსნაზე პატიმრების ოჯახის წევრებთან ერთად აქციას გავმართავ.

***– როდესაც პრეზიდენტი შეუდგა თავისი უფლებამოსილების შესრულებას, განაცხადა, რომ შეწყალების უფლება სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში უნდა გადასულიყო და იუსტიციის სამინისტრო დაასახელა.***

– კიდევ კარგი, ეს არ გაკეთდა, მაგრამ ახლა, ვინც ეს საქმეები შეუტანა, მისთვის უნდა დაესვა კითხვა, მოკლა, დააყაჩაღა თუ რა ჩაიდინა. მათაც შეიძლება შეეხოთ შეწყალება, მაგრამ სასჯელის ნახევარზე მეტს რომ მოიხდიან.

***– შეიძლება, ისე მოაწერა ხელი, რომ ასეთ სიღრმეებში არ შევიდა?***

– ალბათ, ასეა, მაგრამ პრეზიდენტი უნდა კითხულობდეს ამგვარ საქმეებს. თუ არ კითხულობს, არც ეს არის კატასტროფა. დღეს ელექტრონული ხელმოწერები ხდება. პრეზიდენტთან ყველაფერი რომ შეთანხმდება, შემდეგ ხელი ელექტრონულადაც ეწერება. ამიტომ მთავარია შეთანხმება.

# გია ხუხაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ისტორიაში დარჩება, როგორც დიდი გაუგებრობა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– მათ შორის „ქართულ ოცნებაშიც“?***

– მათ შორის თუნდაც „ქართულ ოცნებაშიც“ კი, წარმოიდგინეთ.

***– ანუ რეალურად ბიძინა ივანიშვილმა წააგო სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებით?***

– ბიძინა ივანიშვილი ატარებს ექსპერიმენტებს და, რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს. დაახლოებით იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობს, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ რომის იმპერატორები, როდესაც სენატში შეჰყავდათ ვიღაც-ვიღაცები. შეეშლა, რა მოხდა... სამი პრემიერ-მინისტრი შეეშალა, რა მოხდა, ერთი პრეზიდენტი შეეშალა, რა მოხდა, მეორე შეეშალა, რა მოხდა. ივანიშვილი თამაშობს.

***– ლავროვმა თქვა, საქართველო ნატოში რომც შევიდეს, მასთან ომს არ დავიწყებთო. ზურაბიშვილის რბილი განცხადება გაეროში და ლავროვის ინტერვიუ ერთიან დღის წესრიგში ხომ არ უნდა განვიხილოთ?***

– არა, არა მგონია. ძალიან შორს მივდივართ. ერთიან მდგომარეობაში აყენებთ ლავროვსა და ზურაბიშვილს. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ზურაბიშვილმა ასეთი თამაშები ითამაშოს. შეიძლება, ვინმეს ხელში ინსტრუმენტი იყოს, თორემ, თვითონ რომ ვიღაცასთან იყოს შეთამაშებული, მე ამას არასერიოზულად შევხედავდი.

რაც შეეხება ომს, რუსეთი ომის დაწყებას არც არასდროს აღიარებდა, თავის მოწინააღმდეგეს ყოველთვის აგრესორად აცხადებდა. რამე რომ მოხდეს, ჩვენზე იტყვის, რომ ჩვენ დავიწყეთ და, იძულებული გახდა ჩართულიყო. მაგალითად, როგორც 2008 წელს მოხდა, იმავე სცენარით. მაშინაც ხომ იძახდნენ, რომ მათ ომი არ დაუწყიათ.

***– ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რამდენად დაბალია რუსეთის დაპირებების სანდოობის ხარისხი?***

– რა თქმა უნდა, ეგ თავისთავად ცხადია, მაგრამ იმას, რომ რუსეთი ომს არ დაიწყებს, აცხადებდა ყოველთვის, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი არ იომებენ.

***– ახსენეთ პრეზიდენტის სკანდალი და გარკვეულ წრეებში რაღაც „გაჩალიჩებაზე“ საუბრობენ. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?***

– ეს ხომ არასერიოზულია! რას ჰქვია, „გაუჩალიჩეს“?! თუ ადამიანს აქვს მინიმალური კომპეტენცია, როგორ შეიძლება, „გაუჩალიჩო“?! არ აქვს ამ ადამიანს კომპეტენცია. ეს დაინახეს მის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა და ხან რას შეუცურებენ და ხან რას. ისე აწერს ხელს ყველაფერს, რომ საერთოდ აზრზე არ არის. ეს მოხდა. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გააზრებულად მიიღო ეს გადაწყვეტილებები. შეუცურეს და ხელი მოაწერინეს.

***– ანუ ამაში თქვენ მხოლოდ არაკომპეტენტურობას ხედავთ და არა კორუფციას?***

– რა თქმა უნდა, მისი მხრიდან არაკომპეტენტურობაა. ვიღაცის მხრიდან შეიძლება იყოს დანაშაული და ამაზე გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ პრეზიდენტის მხრიდან ეს არის არაკომპეტენტურობა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის რანგში არაკომპეტენტურობის ტოლფასია. როდესაც სახელმწიფოს ინტერესი ზიანდება, რა მნიშვნელობა აქვს, ეს სიბრიყვით მოუვიდა ადამიანს თუ შეგნებულად გააკეთა! აზერბაიჯანთან მიმართებით თავის დროზე ისეთი განცხადებები აკეთა და ისეთი ქმედებები ჩაიდინა, კინაღამ ომი დაიწყო. ამას აკეთებს იმიტომ, რომ აზრზე არ არის, რას აკეთებს.

***– დავაზუსტოთ, მის კორუფციაში ჩართვას გამორიცხავთ?***

– დიახ, მის კორუფციაში ჩართვას გამოვრიცხავ. რაში სჭირდება? რატომ უნდა გაეკეთებინა?! კორუფცია სხვადასხვა სახის არის. არ გამოვრიცხავ, რომ სტიმულატორი ყოფილიყო ის, რომ მაგალითად ვიღაცას რაღაც საჩუქარი გაეგზავნა ან გაეროში სიტყვით გამოსვლისას რომ ეცვა, ის კაბა ვიღაცამ აჩუქა. იმას, რომ ფული აეღო ამისთვის, გამოვრიცხავ.

***– იმპიჩმენტს თუ ელოდებით?***

– ეს უკვე ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგის თემაა. მე ვფიქრობ, რომ აქამდე არ მივა საქმე. თვითონ ხელისუფლების მართვის სისტემა ასეთია, რომ რაც უფრო მეტად არის კომპრომეტირებული ადამიანი, მით უფრო მშვიდდება და მით უფრო ინარჩუნებს, იმიტომ, რომ კომპრომეტირებული ადამიანი მისთვის ხიფათს აღარ წარმოადგენს. ამიტომ, რაც უფრო მეტი კომპრომატი დაგროვდება სალომე ზურაბიშვილზე, მით მეტი გარანტია ექნება თანამდებობის შენარჩუნების მხრივ. კომპრომეტირებული ადამიანები არიან უფრო კომფორტულები, ვიდრე ღირსების მქონე და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მქონენი. ასე რომ, რაც უფრო მეტჯერ ჩახტება ტლაპოში სალომე ზურაბიშვილი, ხელისუფალი უფრო მშვიდად დაიძინებს. კი, ცოტა მიარტყამენ და მოარტყამენ მუთაქასავით, მაგრამ თავს გაანებებენ.

# „დამიჭირეთ იმიტომ, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე შეგიქმენით“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დებდი, თანაც არ გქონდა იმ დროს ფული. კომუნისტურ იერარქიაში კარიერული წინსვლისთვის კი შენი „ნიჭი“ და ცოდნა საკმარისი არ იქნებოდა.

2012 წელს სააკაშვილთან ბრძოლით დასუსტებულმა ერთადერთი ინტერესით „გამჯობინეთ“, რომ ჩემი ქვეყანაში დაბრუნება, რომელიც დაახლოებით ისეთი სურვილის ტოლფასი იყო, რომ ბევრი შვილი მყოლოდა, მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებაზე გადიოდა, თორემ ვიცოდი, საითაც წაიყვანდი ყველაფერს, რადგან თქვენი ფენომენის მსგავსი ადამიანები სხვაგვარად ვერ იქცევიან, – წერს ირაკლი ოქრუაშვილი.

მისი აზრით, 20 ივნისის ღამემ გამოაჩინა, რომ სრულიად ახალი, თავისუფლებისთვის მებრძოლი პატრიოტული თაობა წამოვიდა, რომლისთვისაც ივანიშვილის ფული და ფასეულობები არათუ არაფერს წარმოადგენს, არამედ სრულიად მიუღებელია.

– 7 წელია, ქვეყანას მართავთ და სახელი და პატივისცემა ვერ მოიპოვეთ. 2 წლის განმავლობაში უამრავი ხელისშემშლელი გარემოების პირობებში, მე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი საყრდენი, ჯარი შევქმენი. სხვაზე არაფერს გეტყვით, ხოლო თქვენ 8 წლის თავზე ისე წახვალთ ხელისუფლებიდან, რომ თქვენი შექმნილი არაფერი ემახსოვრებათ მომავალ თაობებს, გარდა იმისა, რომ შუშის სასახლის თუ ჭორვილის კოლბაში ზვიგენებთან და ზებრებთან სიამოვნებას იღებდით.

ქვეყნის სამასხარაოდ ხეების აქეთ-იქეთ თრევით იყავით დაკავებული იმის იმედით, რომ ამ ხეების ენერგეტიკით და თქვენი ოკულტიზმისადმი მიდრეკილებით 150 წელს იცოცხლებდით. ამით კი დროისა და სივრცის კანონს ეწინააღმდეგებით, ხოლო ვინც ამ კანონების წინააღმდეგ წავიდა, ყველამ ცუდად დაამთავრა.

ქვეყანა კორუფციის ჭაობში დააბრუნეთ, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მოსპეთ, საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევას ცდილობთ და ქართულის ნაცვლად პუტინის ოცნებას ასრულებთ, – აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

ის ფიქრობს, რომ ივანიშვილმა 20 ივნისს რუსეთის საამებლად სამაგალითოდ დაარბია და დასაჯა ახალგაზრდები.

– რა არის მიზეზი, რის გამოც დამიჭირეთ?

20 ივნისის ღამე?

რუსთავი 2-ს რომ მედავებით?

ორივე პატარა დოზით, მაგრამ სრულად არც ერთი.

მიზეზი ერთია – ჩემი ხასიათიდან, ტიპაჟიდან და მოქმედებების სტილიდან გამომდინარე, ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე შეგიქმენით.

ბოლო 2 თვეში სწორადაც დაგინახავთ, რომ ასეთი საფრთხის მატარებელი ვარ და მართლა შევძლებდი თქვენი ჭიქიდან ჩაის დალევას, რამაც ყველაზე მეტად გაგაღიზიანათ.

ვალდებული ვარ, ვიყო ასეთი საფრთხის მატარებელი, რადგან თქვენ ჩემს ქვეყანას, ჩემი შვილების მომავალს და მთლიანად ერს უქმნით საფრთხეს იმით, რომ ყველაფერს ანადგურებთ, რაზეც ჩვენი სახელმწიფოებრიობა დგას. ყველა იმ სახელმწიფო ინსტიტუტს ანგრევთ, რომლის შენებისთვისაც ღამეები მითენებია.

ჩემი ციხეში გამოკეტვა უშუალოდ თქვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილება გახლავთ და ამით ორი კურდღელი დაიჭირეთ – რუსებს ასიამოვნეთ და ხალხი დააშინეთ, მაგრამ ამით თამაშის ის წესი დაარღვიეთ, რომელიც შემდეგს ეფუძნება.

„კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ“ – ამ წესების თანმდევი შედეგი აქვე ჩვენს სამეზობლოში შეგიძლიათ ნახოთ, შორს რომ არ მოგიწიოთ ძებნა. სომხეთში სარქისიანმა და კოჩარიანმა პაშინიანი თავის დროზე ციხეში გამოკეტეს. დღეს პაშინიანი პრემიერმინისტრია, კოჩარიანი ციხეშია, სარქისიანი კი გაქცეულია.

თურქეთში სამხედრო ელიტამ ერდოღანი ერთ დროს ციხეში გამოკეტა. დღეს ერდოღანი პრეზიდენტია, სამხედრო ელიტა კი ციხეში ზის. დაელოდეთ ამ თამაშის წესების შედეგებს, ეს მხოლოდ დროის საკითხია, – წერს ირაკლი ოქრუაშვილი.

მისი აზრით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დასასრული მოახლოვდა, მაგრამ ეს არაა მთავარი მიზანი.

– მთავარია, შუშის სასახლის პანდემონიუმი ნაცვლიშვილების, ფარცხალაძეების, ჩხარტიშვილების და იმ მეხუთე კოლონის სახით, რომელსაც ეფუძნება თქვენი ძალაუფლება, სრულად განადგურდეს, რადგან ეს პანდემონიუმია ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი საფრთხე და მათ ველარ უნდა შეძლონ „ახალი ივანიშვილის“ შობა, – აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

# 7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვან დედას 6 წელი შეეფარდა



7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვან დედას 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

განაჩენი გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან დარბაიძემ 26 სექტემბერს გამოაცხადა.

ბრალდებულს გორის რაიონულმა სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდა და საბოლოოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

განაჩენის გამოცხადებას ესწრებოდნენ თავად არასრულწლოვანი ბრალდებული და ასევე მოკლული ჩვილის მამა და მისი ნათესავები.

ბრალდებულის ახლობლები განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებიან.

ბრალდებულის ყოფილი მეუღლე და მისი ნათესავები სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ. გარდა ამისა, არ გამორიცხავენ, რომ შვილის მკვლელობისთვის ბრალდებულისთვის ამგვარი მცირე სასჯელის შეფარდება საქართველოს პარლამენტის წინ გააპროტესტონ.

განაჩენს არც არასრულწლოვანი დედის ადვოკატი იზიარებს.

ერმილე ჭეიშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც დაცვის მხარეს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება გადაეცემა, განაჩენს გაასაჩივრებენ.

– სასამართლომ დამნაშავედ ცნო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი წარდგენილ ბრალდებაში. რასაც არ ვეთანხმებით და გავასაჩივრებთ სააპელაციო წესით. აღნიშნული საქმის გამოძიების ეტაპიდან სასამართლო განხილვით დასრულებული, უამრავ დარღვევასთან გვაქვს საქმე, თუმცა დამატებით ინფორმაციას ამ ეტაპზე ვერ მოგაწვდით.

დაველოდებით სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც შესაბამის კომენტარს გავაკეთებთ, – განაცხადა ერმილე ჭეიშვილმა.

განაჩენის გამოტანის შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა.

– სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 21 მაისს, დაახლოებით 01:00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში, მ.შ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით უმწეო მდგომარეობაში მყოფ თავის 7 თვის შვილს სახეზე პლედი დააფარა და გაგუდა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მ.შ. 2019 წლის 22 მაისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ მ.შ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდა და საბოლოოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, – ნათქვამია განცხადებაში.

## იაგო ნებიერიძის სამუდამო პატიმრობა სააპელაციომ უცვლელად დატოვა



თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი და გორში 8 წლის გოგონას მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულ იაგო ნებიერიძის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 მაისის განაჩენი, რომლითაც მას უვადო თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, ძალაში უცვლელად დატოვა.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ იაგო ნადიბაიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით და სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენისთვის.

გორის რაიონულმა სასამართლომ იაგო ნებიერიძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## პროკურატურამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი გამოკითხვაზე დაიბარა

გენერალურმა პროკურატურამ შეწყალების საქმეზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი გამოკითხვაზე დაიბარა.

ამის შესახებ ინფორმაცია ინტერპრესნიუსს პროკურატურაში დაუდასტურეს.

კერძოდ, პროკურატურაში დაბარებული არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემდეგი თანამშრომლები: დავით კაშია, ნინო კალანდაძე, ნინო შარშიძე, დიანა ტაბატაძე-რეხვიაშვილი, ზინაიდა ვერულაშვილი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები პროკურატურაში 27 ივნისს, 11:00 საათზე არიან დაბარებული.

## „არ ვაკეთებ კომენტარს“

### ანგი ხუციშვილი პროკურატურამ გამოკითხა



გუშინ, 26 სექტემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ანგი ხუციშვილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოიკითხა.

ანგი ხუციშვილმა პროკურატურაში შესვლამდე ჟურნალისტების არც ერთ კითხვას არ უპასუხა.

– არ გპასუხობთ. გამოძიებას გავცემ პასუხს, – აღნიშნა ხუციშვილმა.

ხუციშვილი გამომძიებლების კითხვებს დაახლოებით ხუთსაათ-ნახევრის განმავლობაში პასუხობდა, პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ კი მედიის კითხვები ისევ უპასუხოდ დატოვა.

– არ ვაკეთებ კომენტარს, – აღნიშნა ანგი ხუციშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის თარაშ მუკბანიანის, გიორგი ოთხმეზურის შვილის დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძისა და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, შეწყალების პროცესში კორუფციულ გარიგებებს აქვს ადგილი, რომელშიც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნიაა ჩართული, თუმცა, თავად გაბუნიას განცხადებით, შესაწყალებელ პატიმართა სიის შედგენას ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ანგი ხუციშვილი კურირებდა.

## ლევან ჯიქურის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება

### „30 დღეა, შიმშილობს“




20 ივნისის აქციის საქმეზე დაკავებული ლევან ჯიქურის ადვოკატ ალექსანდრე ზუბიაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მდგომარეობა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი, დღითიდღე უარესდება.

ადვოკატის ინფორმაციით, ჯიქურს, რომელიც ციხის საავადმყოფოშია მოთავსებული, პარალიზებული აქვს მარცხენა ხელი და მარცხენა ფეხი. მისივე თქმით, ჯიქური 30 დღეზე მეტია, შიმშილობს და არ შეწყვეტს შიმშილობას, ვიდრე მისი პროცესი არ დასრულდება.

– მისი მდგომარეობა არის მძიმე. დაკავების დღიდანვე იყო ცუდად და იმის შემდეგ, დღითიდღე უარესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მიზეზი არის ნერვიულობა.

ამჟამად იმყოფება ციხის საავადმყოფოში, გლდანის მე-18 დაწესებულებაში. 30 დღეზე მეტია შიმშილობს და ეს შიმშილობაც თავისთავად მოქმედებს ამ ყველაფერზე. შიმშილობს იმიტომ, რომ მისი აზრით, უსამართლოდ არის პატიმრობაში და აქედან გამომდინარე ეს იწვევს შემდგომ იმ დაავადებების გართულებებს, რაც მას აქამდეც სჭირდა. მას ფეხზე დამბლა ჰქონდა და ახლა პარალიზებული აქვს მარცხენა ხელი და მარცხენა ფეხი.

გუშინ მოვინახულე და თქვა, რომ არ შეწყვეტს შიმშილობას მიუხედავად ჩემი არაერთი თხოვნისა და გააგრძელებს ბოლომდე, სანამ მისი სასამართლო პროცესები არ დასრულდება, – განაცხადა ალექსანდრე ზუბიაშვილმა.

20 ივნისის საქმეზე დაკავებულ 6 პირს – ზურაბ ბუდაღაშვილს, ცოტნე ცოტნიაშვილს, ბესიკ თამლიანს, ცოტნე სოსელიას, კახაბერ კუპრეიშვილსა და ლევან ჯიქურს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

მოსამართლემ ლევან ჯიქურის დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებად 5.000 ლარის გირაოს შეფარდებაზე არ დააკმაყოფილა და ჯიქური პატიმრობაში დატოვა.

## „ჩემს შვილს პოლიციელი ურტყამდა. მეც ავიღე ჯოხი და პოლიციელს ჩავარტყი“

### რა მოხდა ბოდბისხევში

კახეთში, სოფელ ბოდბისხევში, სამართალდამცველებს თავს დაესხნენ. საქმეში ფიგურირებს ცეცხლსასროლი იარაღი და ნაჯახი.

ნიუპოსტის ცნობით, ერთ-ერთმა პოლიციელმა მოქალაქე მამუკა ყაჭრიშვილის დაკავება ცადა, რომლის დროსაც შს სამინისტროს წარმომადგენელს მამაკაცის ოჯახი ფიზიკურად გაუსწორდა. პოლიციელს დაზიანება ჯოხით მიაყენეს.

მამუკა ყაჭრიშვილის დედა ირწმუნება, რომ პოლიცია მის შვილს ფიზიკურად უსწორდებოდა და ყაჭრიშვილის დახმარება ოჯახმა და მეზობლებმა ცადეს.

ყაჭრიშვილმა მიმალვა მოახერხა, პოლიციამ კი ბრალდებულის 83 წლის მამა დააკავა.

– ჩემი შვილი იძახდა, მკლავენო... ერთი პოლიციელი ურტყამდა. მეც ავიღე ჯოხი და პოლიციელს ჩავარტყი, – აცხადებს მამაკაცის დედა.

ყველაფერი 25 სექტემბერს დაიწყო, როცა მამუკა ყაჭრიშვილმა ერთ-ერთ სამართალდამცავს რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლი გაუხსნა, მეორე დღეს კი შს სამინისტროს წარმომადგენლები მასთან დაკავების მიზნით გამოჩნდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სამართალდამცავების ფიზიკური შეურაცხყოფის ბრალდებით 1936 წელს დაბადებული მამაკაცი დააკავეს. ავტომობილის შემოწმებისას დაკავებულის შვილი სამართალდამცავების მითითებებს არ დაემორჩილა, ხოლო მისმა მშობელმა მათ წინააღმდეგობა გაუწია.

შს სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც დაკავებულის შვილმა მეზობლის ეზოში გადააგდო, ხოლო თავად ადგილიდან მიიმალა.

რაც შეეხება სამართალდამცავთა ჯანმრთელობას, მათ მძიმე დაზიანებები არ აღენიშნებათ, თუმცა ფაქტის გამო პირველადი სამედიცინო დახმარება დასჭირდათ.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს 253 პრიმა მუხლით, ასევე, 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამართალდამცავებზე თავდასხმას გულისხმობს.

გამოძიება ასევე მიმდინარეობს 236-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## „არ ვიცი, როგორ გაუვარდა ეს ტყვია“

### ხურჩაში ჯარისკაცი კობა გეთია დაიჭრა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზთან არსებულ საგუშაგოზე განთავსებული განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჯარისკაცი კობა გეთია ფეხშია დაჭრილი. იგი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში მკურნალობს.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, მას ერთი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. დაჭრილის ბებიის, თეთრიკო გეთიას თქმით, ოჯახს მომხდართან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ჯარისკაცს იარაღი გაუვარდა.

– დილის 7:00 საათზე ამდგარა ბავშვი, მორიგე იყო ალბათ. არაფერი ვიცი, როგორ გაუვარდა ეს ტყვია. ფეხში აქვს მოხვედრილი და დამტვრეული აქვსო ძვალი. ვინც მონახულა, ის ამბობს, რომ საშიში არაფერი არ არის. ოპერაცია გაუკეთეს. იქ ყოფილა ყველა, სამინისტროდანაც იყვნენო. მეორე ოპერაციაც უნდა გაუკეთდესო, მეუბნებიან, – თქვა ჯარისკაცის ბებია თეთრიკო გეთიამ.

ფაქტზე გამოძიება 124-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

# რივლინმა მთავრობის ფორმირება ნეთანიაჰუს სთხოვა

ისრაელის პრეზიდენტმა რუვენ რივლინმა ქვეყნის მთავრობის ფორმირება პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს სთხოვა.

ამის შესახებ განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც ნეთანიაჰუსა და მის მთავარ ოპონენტ ბენი განცს შორის ერთიან მთავრობაზე მოლაპარაკებები ჩაიშალა.

– ნეთანიაჰუს მეტი შანსი აქვს მთავრობის ფორმირებისთვის, – განაცხადა რუვენ რივლინმა.

ამ დროს მას გვერდით ნეთანიაჰუ ედგა.

ნეთანიაჰუმ ვერ შეძლო მთავრობის ფორმირება აპრილში გამართული არჩევნების შემდეგ და ახლაც რთული იქნება მისთვის ამ საკითხის გადაჭრა. მას 4-დან 6 კვირამდე აქვს იმისთვის, რომ სხვა პარტიები მხარდაჭერაში დაარწმუნოს.



რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ არაბულმა ბლოკმა ისრაელის პრემიერის პოსტზე ოპოზიციის ლიდერ ბენი განცს დაუჭირა მხარი.

1992 წლიდან ეს პირველი შემთხვევაა, როცა არაბულმა პარტიამ მხარი პრემიერობის რომელიმე კანდიდატს დაუჭირა.

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ისრაელში 17 სექტემბერს გაიმართა. ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდს" პარლამენტში 31 ადგილი ერგო, ნეთანიაჰუს მთავარი ოპონენტის, გენშტაბის ყოფილი უფროსის, ბენი განცის პარტიას „ლურჯი და თეთრი" კი – 33. მესამეზე ადგილზე გასულ „არაბთა გაერთიანებულ სიას" 13 მანდატი ხვდა წილად.

ვერც ერთმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა, ამიტომ მთავრობის ფორმირების შესახებ კონსულტაციები ქვეყნის პრეზიდენტმა დაიწყო.

# აშშ ლიტვაში 500 სამხედროს განალაგებს



ლიტვის ტერიტორიაზე გრძელდება ამერიკული თავდაცვითი პროგრამის განხორციელება. ის 2014 წელს იქნა შემუშავებული, როცა რუსეთმა უკრაინის კუთვნილი ყირიმის ოკუპაცია-ანექსია მოახდინა, შემდეგ კი დონბასში ომი გააჩაღა.

500 ამერიკელი ჯარისკაცი ლიტვაში ოქტომბერში განთავსდება. როტაციის შემდეგ მათ სხვები შეცვლიან.

– მე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებაზეც ვზრუნავდი და კვლავაც ვიზრუნებ, – განუცხადა ჟურნალისტებს ტრამპმა.

# ამერიკელებს ტრამპი არ მოსწონთ, მაგრამ მისი იმპიჩმენტის წინააღმდეგნი არიან

ბაიდენგეიტის შემდეგ აშშ-ის კონგრესის უმრავლესობა ტრამპის იმპიჩმენტს მოითხოვს. ეს კანონზომიერია, რადგანაც კონგრესი ძირითადად ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის კონტროლქვეშ არის. იმპიჩმენტის წინააღმდეგია სენატი. იქ უმრავლესობას რესპუბლიკელები შეადგენენ.

მოსახლეობის განწყობა კი ასეთია: ტრამპის საქმიანობას ამერიკელთა 58% უარყოფითად აფასებს. ერთი თვის წინ ეს ციფრი 55%-ს შეადგენდა. ამავე დროს, შეკითხვაზე, გსურს თუ არა, რომ პრეზიდენტს იმპიჩმენტი გამოუცხადონ, დადებითი პასუხი მხოლოდ 37%-მა გასცა. 56% იმპიჩმენტის წინააღმდეგია.




# რუსეთის შსს-ს მაღალჩინოსანი დააკავეს



რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, გენერალ-მაიორი მელნიკოვი საგამოძიებო კომიტეტმა დააკავა.

მელნიკოვს რუსი ბიზნესმენისგან 100 მილიონი რუბლის გამოძალვა ედება ბრალად.

ამ ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მისი დახურვის ფასად მელნიკოვმა ხსენებული თანხა მოითხოვა.

ახლა გენერალ-მაიორი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მომდინარეობს გამოძიება.

# სტამბოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა



გუშინ, 26 სექტემბერს, თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის სიმძლავრემაც 5,7 მაგნიტუდა შეადგინა. გაცხადებული ინფორმაციით, ადამიანებმა სასწრაფოდ დატოვეს შენობები – ევაკუირებული იყო სკოლები და დროებით შეჩერებული იყო სწავლის პროცესი.

სტამბოლის მერ ეკრემ იმამოღლუს განცხადებით, სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლია

# ინდონეზიაში მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა

ინდონეზიაში 6.5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინცია მალუკუ იყო, სადაც, სულ ცოტა, ერთი ადამიანი დაიღუპა. სტიქიის შედეგად ძლიერად დაზიანდა შენობები. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი მიწისძვრა იყო, როგორც ინდონეზიის ბუნებრივი კატასტროფების უწყების ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, გეოფიზიკოსებმა ცუნამის წარმოქმნა გამორიცხეს.



სააგენტოს ცნობით, ინდონეზია სეისმურად აქტიურ წყნარი ოკეანის „ცეცხლოვან სარტყელში" მდებარეობს და, შესაბამისად, აქ ძლიერი მიწისძვრები და ცუნამები ხშირი მოვლენაა.

2018 წელს სულავესის კუნძულზე მომხდარ მიწისძვრასა და შემდეგ ცუნამის 4 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# საქართველოს ნაკრები ურუგვაის დააფასებს



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნაგოია დატოვა და კუმაგაიაში დაბინავდა, სადაც 2019 წლის მსოფლიო თასზე მე-2 მატჩს ურუგვაის ნაკრებთან 29 სექტემბერს გამართავს.

უელსთან მატჩის მომდევნო დღე აღდგენას დაეთმო, შემდეგ კი გუნდმა ვარჯიში განაახლა. სასიხარულოა, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ ნაკრებთან ერთად მოედანზე გავიდა და ივარჯიშა კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ.

მსოფლიო თასზე პირველი შეხვედრა გამართა „ბორჯღალოსანთა" მომავალმა მეტოქე ურუგვაიმ, რომელმაც ფიჯის 30:27 სძლია და იაპონიაში პირველი სენსაცია გამოაცხო. ფიჯელები მეტოქეს ფაქტობრივად ყველაფერში ჯობდნენ და სამის წილ 5 ლელოც გაუტანეს, მაგრამ დისციპლინა არ უვარგოდათ, ძელებს შორისაც ძალიან ცუდად ურტყეს და იოლი გამარჯვების მოლოდინში, 3 ქულა გაანიავეს (დაგეგმილი 5-ის ნაცვლად 2 აიღეს). ამ წაგებამ ფიჯის მსოფლიო რეიტინგში 4 ქულა დააკარგვინა და მე-12 საფეხურზე დაეშვა, ხოლო საქართველო სარეკორდო, მე-11 პოზიციამდე დააწინაურა.

რა თქმა უნდა, მომავალი მეტოქეების თამაშს „ბორჯღალოსნებმაც" უყურეს. მათი თქმით, ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქის დაუფასებლობა დამღუპველია.

# ფეხბურთი: თასის ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია

**გარეჯი-თბილისი სიტი 2:1**

**საგარეჯო. არსენ მეკოკიშვილი**

**1:0 კაპანაძე (15), 2:0 ჩიმაკაძე (63), ქალდანი (89)**

**გაძევება:** დემეტრაშვილი (90)



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში ლიგა 4-ის ერთი გუნდი იასპარეზებს. საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სტადიონზე გამართულ შეხვედრაში ადგილობრივმა გარეჯმა მესამელიგელ თბილისი სითის უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა.

მასპინძლებმა ანგარიში მე-15 წუთზე ვახტანგ კაპანაძის გოლით გახსნეს, მე-60 წუთზე კი, ბესიკ ჩიმაკაძემ გაიტანა და გარეჯი 2 ბურთით დაწინაურდა.

საბოლოო ანგარიში 89-ე წუთზე დაფიქსირდა, საგარეჯოელთა კარი ლევან ქალდანმა აიღო.

**რუსთავი-ტორპედო 0:0 (2:4პ)**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

საქართველოს თასის 2019 წლის გათამაშების ბოლო ნახევარფინალისტი რუსთავში გამოვლინდა, სადაც ერთმანეთს რუსთავი და ქუთაისის ტორპედო დაუპირისპირდნენ.

რამდენიმე რეალური მომენტის მიუხედავად კლუბებმა 120 წუთის განმავლობაში გოლის გატანა ვერ მოახერხეს და გამარჯვებული პენალტების სერიით გამოვლინდა. 11-მეტრიანების სერია უფრო ზუსტად ქუთაისელებმა შეასრულეს, 4:2 დაამარცხეს მეტოქე და ზედიზედ მესამედ იასპარეზებენ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში.

შედეგად, ნახევარფინალში თბილისის ლოკომოტივი, თბილისის საბურთალო, საგარეჯოს გარეჯი და ქუთაისის ტორპედო იასპარეზებენ.

ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა 2 ოქტომბერს გაიმართება, ხოლო მატჩების ჩატარების თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

# ჯერ ჩავი, შემდეგ — სტერლინგი

არ წყდება საუბრები ინგლისის ნაკრებისა და მანჩესტერ სიტის შემტევ რაჰიმ სტერლინგზე. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ ჩავი ბარსელონის მთავარ მწვრთნელად დაინიშნება, მისი სატრანსფერო პრიორიტეტი „ნოუ კამპზე" სწორედ სტერლინგის გადაყვანა იქნება.

ლეგენდარულმა ესპანელმა რამდენიმე დღის წინ სტერლინგი შეაქო და აღნიშნა, რომ მას შეუძლია, მესის წასვლის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს.

ბრიტანული გამოცემის თქმით, სიტი თავის ერთ-ერთ ლიდერს 185 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევა, თანაც ფეხბურთელის სამსახურით მადრიდის რეალიც ინტერესდება.

„სამეფო კლუბმა" ზაფხულში სტერლინგის წარმომადგენლები მადრიდში მოსალაპარაკებლად მიიწვია, თუმცა შეხვედრა არ შემდგარა.

რაც შეეხება ჩავის ბარსაში შესაძლო დანიშვნას, ამის შესახებ ბოლო პერიოდში აქტიურად იწერება, რადგან ერნესტო ვალვერდეს მუშაობით, კლუბის გულშემატკივრებთან ერთად, ხელმძღვანელობაც უკმაყოფილოა.

39 წლის ესპანელი ამჟამად ყატარული ალ სადის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას იკავებს და იყო საუბრები, რომ 2022 წლის მუნდიალისთვის ყატარის ეროვნული ნაკრების ჩაბარებაზეც ფიქრობდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**


# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლიონელ მესი: „ჩემი ბავშვობის ოცნება ნიუელზ ოლდ ბოიზის მაისურით თამაშია“

მილანის ლა სკალას თეატრში ფიფამ პირველად დააჯილდოვა ლიონელ მესი წლის საუკეთესო კაცი ფეხბურთელის პრიზით. მას ადრეც არაერთხელ მოუხვეჭია ტიტული, თუმცა მაშინ ფიფა გამოკითხვას სხვა პრინციპით ატარებდა.

ამჯერად 32 წლის ლეომ კრიშტიანუ რონალდუსა და ვირჯილ ვან დეიკს აჯობა, მაგრამ ამ ამბავს სკანდალური გაგრძელება მოჰყვა...

ფიფას მიერ მსოფლიოს საუკეთესო კაც ფეხბურთელად მესის დასახელებას გამოეხმაურა ნიკარაგუის ნაკრების კაპიტანი ხუან ბარერა და ამტკიცებს, რომ ფიფას მიერ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის არჩევისას ხმა მესისთვის არ მიუცია. მეტიც – გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მისი ბიულეტენი ასე იყო შედგენილი – მესი, სანე, რონალდუ.

ბარერას შემდეგ კიდევ ერთი პროტესტის ხმა მოჰყვა სუდანის ნაკრების მთავარი მწვრთნელისაგან. ზდრავკო ლუგაროშიჩმა განაცხადა, რომ ლიონელ მესისთვის ხმა არ მიუცია და გამოაქვეყნა საკმაოდ ბუნდოვანი ფოტო, სადაც კარგად არც ჩანს ვინ არის მონიშნული ბიულეტენში.

რაც შეეხება ეგვიპტელთა მთავარ მწვრთნელ ხავიერ აგირესა და კაპიტან აჰმედ ალ მუჰამადის ხმებს, რომლებიც, ბუნებრივია, მოჰამედ სალაჰს ეკუთვნოდა, ფიფამ ისინი არ მიიღო. არადა, ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაცია ამტკიცებს, რომ წერილი ვადების ფარგლებში გააგზავნა და აღნიშნული საკითხის ფიფაში დასმას აპირებს.

ასეა თუ ისე, მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მეექვსედ გახდა და მისი ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– ბევრი ჯილდო მოგიგიათ, მაგრამ ეს ფიფასგან პირველია. როგორ გრძნობთ თავს?***

– ძალიან ბედნიერი ვარ ამ პრიზის მიღებით. თუმცა, ინდივიდუალური ჯილდოები მეორეხარისხოვანია ჩემთვის. მთავარი გუნდურებია. ეს კი განსაკუთრებული საღამოა. გამიმართლა, რომ მეუღლეც იქ იყო და 3-დან 2 ბავშვიც.

***– გასულ სეზონს როგორ შეაფასებდით?***

– უცნაური იყო. გუნდს ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა და ერთმა მატჩმა ყველაფერი გააფუჭა (ბარსელონის წაგება ლივერპულთან). ეს იმდენად დიდი იმედგაცრუება იყო, რომ პრიმერას ბოლო ტურებისთვის და ქვეყნის თასისთვის ჯეროვნად ვერ მოვემზადეთ. დიდი დარტყმა აღმოჩნდა ჩვენთვის. ჩემპიონთა ლიგის ფინალთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ ბოლო მწარე გამოდგა.

***– უეფას ბოლო დაჯილდოებაზე კრიშტიანუ რონალდუსთან მეგობრულად ურთიერთობდით. რატომ უკვირს ხალხს, როცა ასე ექცევით ერთმანეთს?***

– დიდი სპორტული დაპირისპირების გამო, იმიტომ, რომ მე ბარსელონაში ვთამაშობ, ის რეალში იყო, ვინაიდან ძალიან ბევრ ინდივიდუალურ პრიზს ვიგებდით. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს მეტოქეობა მინდვრის გარეთაც გრძელდება. ორივეს გვინდა ჩვენი გუნდების წარმატებები. წაგება არ გვიყვარს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი მინდორზე დარჩეს.

***– ბარსელონაში ახალი სახეები გამოჩნდნენ, მაგალითად, ანსუ ფატი. რას ფიქრობთ მასზე?***

– ძალიან მომწონს. ვცდილობ, დავეხმარო და მხარი დავუჭირო. ის არაჩვეულებრივი მოთამაშეა, ყველაფერი აქვს წარმატებისთვის. მაგრამ, სხვა მხრივ, მინდა, რომ გუნდს ნელნელა გაუშინაურდეს, როგორც მე ვიყავი კარიერის დასაწყისში. არ შეიძლება მასზე დიდი წნეხის დაკისრება. ის ხომ ჯერ 16 წლისაა. ვიმედოვნებ, გააგრძელებს თამაშით ტკბობას და მის გარშემო ხმაურს ყურადღებას არ მიაქცევს. აქვს შანსი, საუკეთესო გახდეს.

***– ახლა მეტად აფასებთ, როგორ გექცეოდათ რონალდინიო კარიერის დასაწყისში?***

– რონალდინიო და მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი. მთელი გუნდიც. ყველა რაღაცით მეხმარებოდა. განსაკუთრებით მწვრთნელს გამოვყოფდი. როცა არ მათამაშებდა, ვბრაზდებოდი, წლები გავიდა და ახლა ვხვდები, რომ ყველაფერში მართალი იყო. მისი დიდი მადლობელი ვარ.



***– არგენტინის ნაკრებშიც ცვლილებების პერიოდია. ვინმემ გაგაოცათ?***

– ვერ ვიტყოდი, რომ გამაოცეს. იმიტომ, რომ ვიცი, რა შეუძლიათ. კლუბებში თამაშითაც ვიცნობ. თუმცა, ადამიანურად გამაოცეს. ბევრს პირადად პირველად შევხვდი კოპა ამერიკის დროს. გარდა იმისა, რომ კარგი მოთამაშეები არიან, შესანიშნავი, თავმდაბალი ადამიანებიც აღმოჩნდნენ.

***– ლიონელ სკალონიმ სრულყოფილი კონტრაქტი მიიღო არგენტინის ფეხბურთის ასოციაციისგან. ამაზე რას იტყვით?***

– ნათელი გონების მწვრთნელია. კარგად ესმის ფეხბურთი. ჩინებულად მუშაობს და მოთამაშეებთან ურთიერთობაც შეუძლია. ვფიქრობ, სწორად მოიქცნენ, ხანგრძლივი კონტრაქტი რომ გაუფორმეს. ახლა მას მეტი დრო ექნება გუნდთან სამუშაოდ.

***– როცა სკალონისა და პაბლო აიმარს უცქერთ, არ გინდებათ მწვრთნელობა?***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ არა. მაგრამ არასოდეს იცი, რა იქნება მომავალში. ახლა, როცა მათ ვუყურებ, მეც მიჩნდება სურვილი ახალგაზრდები გავწვრთნა, გამოცდილება გავუზიარო. ვნახოთ, რამდენიმე წელიწადში შესაძლოა, ასეც მოხდეს. არ ვიცი...

***– მწვრთნელებზე ვსაუბრობდით და რას იტყვით დიეგო მარადონას არგენტინაში დაბრუნებაზე?***

– დიახ, ვნახე, მიხარია, რომ არგენტინაში დაბრუნდა. ეროვნულ გუნდში ვიყავი, როცა მწვრთნელი იყო. მართლაც მოსწონდა ეს საქმიანობა და მაქსიმუმის მიღწევას ცდილობდა. იგივე უნდა გააკეთოს ხიმნასიაშიც. აბა, სად უნდა იყოს, თუ არა არგენტინაში?!

***– თქვენც არგენტინაში აპირებთ კარიერის დასრულებას?***

– დიახ. ამას ყოველთვის ვამბობდი. ჩემი ბავშვობის ოცნებაა ნიუელზ ოლდ ბოიზის მაისურით თამაში, მაგრამ, არ ვიცი, გამოვა თუ არა. მხოლოდ ჩემში ხომ არ არის საქმე – 3 შვილი მყავს.

***– ლა ლიგა, ჩემპიონთა ლიგა, კოპა ამერიკა. რომლის მოგებაა მესისთვის ამ სეზონში მთავარი?***

– ყველასი. 4 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ძალიან გვინდა, ისევ გავიმარჯვოთ ამ ტურნირში, მაგრამ, ისიც ვიცით, თუ ყოველდღე მუყაითად არ ვიმუშავებთ, არაფერი გამოვა. რაც შეეხება კოპა ამერიკას, მოუთმენლად ველი, როდის დაიწყება.



# უეფას ფული ტორპედოს ნაცვლად ბანკში მიდის

ქუთაისის ტორპედო ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ორდაბასის წინააღმდეგ 2 მატჩის ჯამში 0:3 დამარცხდა და ევროტურნირებს საწყის ეტაპზე გამოეთიშა. თუმცა საპრიზო თანხის გარეშე არ დარჩენილა – ტურნირის რეგულაციის მიხედვით, გუნდი ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისთვის 240.000 ევროს მიიღებს.

თუმცა ეს თანხა ტორპედოსთვის აქედანვე არ არსებობს.

რიონისპირულ კლუბში ფინანსური კრიზისი რომ არის, ეს ამბავი უცხო არავისთვის აღარ არის. ყველაფერთან ერთად, გუნდს ბანკის ვალიც აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უეფადან მიღებულ თანხას ტორპედოს ბანკი ავტომატურად წაართმევს.

ჰო, ეს არ არის ბანკის დავალიანებისთვის გასასტუმრებელი სრული თანხა – ტორპედოს 3 მილიონამდე ვალი აქვს.

# შედეგები

25 სექტემბერი

ფეხბურთი

**ინგლისი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბარტონი-ბორნმუთი | 2:0 |
| ბრაიტონი-ასტონ ვილა | 1:3 |
| ვულვზი-რედინგი | 1:1(4:2პ) |
| მილტონი-ლივერპული | 0:2 |
| ოქსფორდი-ვესტ ჰემი | 4:0 |
| ჩელსი-გრიმბსბი | 7:1 |
| შეფილდი-სანდერლენდი | 0:1 |
| მანჩესტერი-როჩდეილი | 1:1(5:3პ) |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლეგანესი-ბილბაო | 1:1 |
| მალიორკა-ატლეტიკო | 0:2 |
| ვალენსია-ხეტაფე | 3:3 |
| რეალი-ოსასუნა | 2:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| 2.ატლეტიკო | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 3.ბილბაო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 4.გრანადა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 5.სოსიედადი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 6.სევილია | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 7.ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 14-10 | 10 |
| 8.ვილიარეალი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-10 | 8 |
| 9.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-10 | 8 |
| 10.ხეტაფე | 6 | 1 | 4 | 1 | 10-9 | 7 |
| 11.ლევანტე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12.ოსასუნა | 6 | 1 | 4 | 1 | 4-5 | 7 |
| 13.ვალენსია | 6 | 1 | 3 | 2 | 9-11 | 6 |
| 14.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 15.სელტა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 16.ალავესი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-4 | 5 |
| 17.მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 18.ესპანიოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 19.ეიბარი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |
| 20.ლეგანესი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| რომა-ატალანტა | 0:2 |
| ჯენოა-ბოლონია | 0:0 |
| ინტერი-ლაციო | 1:0 |
| ნაპოლი-კალიარი | 0:1 |
| პარმა-სასუოლო | 1:0 |
| სპალი-ლეჩე | 1:3 |
| ფიორენტინა-სამპდორია | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 10-1 | 15 |
| 2.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-5 | 13 |
| 3.ატალანტა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 4.კალიარი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 5.ნაპოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 13-9 | 9 |
| 6.რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 10-9 | 8 |
| 7.ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 8.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| 9.მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 2-3 | 6 |
| 10.პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 11.ლეჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 6-11 | 6 |
| 12.ტორინო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 13.ბრეშა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 14.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| 15.ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 16.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 17.ფიორენტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 |
| 18.უდინეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-5 | 4 |
| 19.სპალი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |
| 20.სამპდორია | 5 | 1 | 0 | 4 | 3-11 | 3 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ტრაპანი-კრემონეზე | 0:0 |
| სალერნიტანა-კიევო | 1:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ამიენი-ბორდო | 1:3 |
| ბრესტი-ლიონი | 2:2 |
| ლილი-სტრასბური | 2:0 |
| მონპელიე-ნიმი | 1:0 |
| ნანტი-რენი | 1:0 |
| სტ.ეტიენი-მეცი | 0:1 |
| ტულუზა-ანჟე | 0:2 |
| პსჟ-რეიმსი | 0:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 7 | 5 | 0 | 2 | 12-4 | 15 |
| 2.ანჟე | 7 | 5 | 0 | 2 | 15-10 | 15 |
| 3.ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 13 |
| 4.ნანტი | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| 5.ბორდო | 7 | 3 | 3 | 1 | 12-8 | 12 |
| 6.მარსელი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| 7.ნიცა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-11 | 12 |
| 8.რეიმსი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-2 | 11 |
| 9.რენი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| 10.მონპელიე | 7 | 3 | 2 | 2 | 6-5 | 11 |
| 11.ლიონი | 7 | 2 | 3 | 2 | 14-7 | 9 |
| 12.ნიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 13.ბრესტი | 7 | 1 | 5 | 1 | 7-9 | 8 |
| 14.ტულუზა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 15.ამიენი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| 16.მეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 17.სტრასბური | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 18.მონაკო | 7 | 1 | 3 | 3 | 10-15 | 6 |
| 19.სტ.ეტიენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| 20.დიჟონი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-9 | 2 |

**ჰოლანდია. ეროვდივიზიონი**

| | |
|---|---|
| პსვ-გრონინგენი | 3:1 |
| აიაქსი-სიტარდი | 5:0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მუსიკოსი ნინო ღიბრაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ჯანსულ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელს, კომპოზიტორს, დირიჟორსა და პიანისტს ვახტანგ კახიძესა და ამავე ცენტრის მხატვრული პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მუსიკათმცოდნე თეონა კახიძეს დედის – ჭეშმარიტი ხელოვნის, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის, ღვაწლმოსილი პიანისტის

## ვანდა კახიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

უფალმა ნათელში ამყოფოს ამ ღვთისნიერი და დიდბუნებოვანი, უმშვენიერესი ქალბატონის სპეტაკი სული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მთიანეთი ევროპაში; 2. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 6. დარიშხანის საბადო რაჭაში; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. მთავარი ქუჩა ნიუ იორკში; 14. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთისგან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. აფრიკული ანტილოპა.

**თარაზულად**: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 7. ქოსა მამაკაცის ქართული სახელწოდება ძველად; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. უღელტეხილი აჭარაში; 18. აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებს შორის მდებარე ზღვა; 20. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. წყალქვეშა კლდე ზღვაში; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფარვატერი; 2. ძელშავი; 3. გოთიკა; 4. ვოლგა; 5. ალუშტა; 11. კარტიე; 12. ოფორტი; 14. ჯემი; 16. რივიერა; 17. აჯამეთი; 19. კოროზია; 21. გინზა; 22. ჩაქვი.

**თარაზულად:** 6. ვაპორეტო; 7. დროსელი; 8. გეიშა; 9. პანამა; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. არმსტრონგი; 18. სელტიკი; 20. ჯემი; 21. გაბენი; 23. ბარმაქსიზი; 24. თოფუზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პლზენი; 2. რიკოთი; 3. იმოლა; 5. გემა; 6. თაგორი; 8. ბორნეო; 11. აბსოლუცია; 13. გოტარდი; 14. ქანქარა; 15. ტოლსტოი; 19. იორი.

**თარაზულად:** 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. ზვარაკი; 9. ლაკოსტა; 10. თართი; 12. სინოპეკი; 16. ბოტაფოგო; 17. ეტალონი; 18. ანდალუზია; 20. ინდაური; 21. თითა; 22. კოსტიოლი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9808
ევრო — 3.2571
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6783
100 რუსული რუბლი — 4.6231

## ამინდის პროგნოზი 27 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 24 სექტემბრიდან




თენგიზ პაპუაშვილი
საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ამიკო ჩოხარაძე „გვიანი შოუს“ წამყვანი გახდა



იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „გვიანი შოუს“ წამყვანია.

შოუ დატოვეს მისმა წამყვანებმა ილო ბეროშვილმა და ნიკა გრიგოლიამ. ნიკა გრიგოლია „მთავარი არხის“ გუნდში გადავიდა.

განახლებული „გვიანი შოუ“ ეთერში უკვე გავიდა. ამიკოსთან ერთად წამყვანობა „ჯეობარის“ ერთ-ერთმა მონაწილე სოფო გორდაძემაც შეითავსა.

შოუს პირველი გადაცემის სტუმარი გიტარისტი ხვიჩა მაღლაკელიძე იყო.

## „შინდისი“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის

საქართველოს მიერ ოსკარზე წარდგენილი ფილმი „შინდისი“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის.




27 სექტემბრიდან, სოხუმის დაცემის დღიდან, ყველას შეეძლება, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე გადაღებული ფილმი იხილოს.

ფილმის რეჟისორი დიტო ცინცაძეა და მასში მერაბ ნინიძე მონაწილეობს.

„შინდისი“ გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. ეს არის რეალურად მომხდარი ამბავი ჩვენი დროის კავკასიური ომიდან. ადგილობრივი გლეხების თავდადება და ჩასაფრებაში მომწყვდეული ჯარისკაცების ბრძოლა სიცოცხლისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

27 სექტემბრისთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

70-იანი წლების ანეკდოტი.

მამაკაცი ახლობელს უყვება:

– გამოვედი ციხიდან, ვხედავ, დამკრძალავი პროცესია მოდის და უამრავი გვირგვინი მოაქვთ. ვკითხულობ: „ვის ასაფლავებთ?“

– მიპასუხეს: „მთავრობის წევრს“!

– ვეუბნები: „ამდენი გვირგვინით მთელი მთავრობის დასაფლავება შეიძლება...“

– გამოვდივარ ციხიდან, მოვეწყვე სამსახურში. ერთხელაც მეკითხებიან: „პარტიის უკანასკნელ კრებას რატომ არ დაესწარით?“

– ვუპასუხე: „რომ მცოდნოდა უკანასკნელი იყო, აუცილებლად დავესწრებოდი...“

– გამოვედი ციხიდან, მივედი სახლში, კედელზე მარცხნივ ბრეჟნევის, მარჯვნივ კოსიგინის სურათი, შუაში კი საკუთარი სურათი ჩამოვკიდე.

– ერთ დღესაც შემოწმებაზე მოვიდნენ და მეუბნებიან: „ამ მაიმუნის სურათი მოაშორე!“

– ვპასუხობ: „რომლის, მარჯვენის თუ მარცხენის?“

– მას შემდეგ ციხიდან აღარ გამოვსულვარ.

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ნუთუ ჩემი ავადმყოფობა ასეთი უიმედოა?

– ასე სასოწარკვეთით რატომ! მოდით სხვაგვარად ვიმსჯელოთ... თუ თქვენ განკურნებას შევძლებ, მთელ მსოფლიოში გავხდები ცნობილი!

●●●

უნივერსიტეტში პროფესორი სტუდენტებს მიმართავს:

– დაუმთავრებელი ანგარიში ჯერ კიდევ არ ნიშნავს უბედურებას. მთავარია, როდესაც ბავშვების გაკეთებას შეუდგებით, ისინი მაინც გამოგივიდეთ დასრულებულები, თორემ შემდეგ ეს დაუსრულებელი ბავშვები მოდიან სასწავლებელში და მოაქვთ დაუსრულებელი ანგარიშები და არადა არ წყდება ეს ჩაკეტილი წრე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კონტე ინტერის ისტორიაში შევიდა



ანტონიო კონტე გახდა პირველი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ინტერმა იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო.

ასეთი რამ ამ კლუბის ისტორიაში არასოდეს მომხდარა.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ინტერს 15 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილს ლიდერობს. იუვენტუსი მას 2 ქულით ჩამორჩება.

ერთადერთი შეხვედრა, რომელიც წელს ინტერმა ვერ მოიგო, პრაღის სლავიასთან ნათამაშევი ფრე იყო ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში. იმ შეხვედრაში ინტერი საერთოდ აგებდა და ანგარიში მატჩის ბოლოს გაათანაბრა.

## ზიდანი: „ჩემპიონობამდე ჯერ შორია“



მადრიდის რეალი 6 ტურის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატს ლიდერობს 14 ქულით, მაგრამ, ზიდანის თქმით, ეს არაფერს ნიშნავს და გუნდმა შრომა უნდა გააგრძელოს:

– ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სეზონის ბოლოსაც ასე იქნება. ჩემი ფეხბურთელების მჯერა და ვიცი, რომ ისინი არ დამალალატებენ, მაგრამ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ.

რაც შეეხება ბარსელონას, კატალონიური გუნდი ამჟამად 10 ქულით მხოლოდ მე-8 ადგილზეა.

## რაკიტიჩი ზამთარში ბარსელონას დატოვებს



ბარსელონის ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი, სავარაუდოდ, ზამთარში ბარსელონას დატოვებს და პსჟ-ში გადაბარგდება.

რაკიტიჩმა დე იონგის მოსვლის შემდეგ ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ბარსელონას მისი გაყიდვა სურს. რაკიტიჩის სატრანსფერო ფასი მინიმუმ 50 მილიონი ევროა და პსჟ-სთვის ამ თანხის გადახდა სირთულეს არ წარმოადგენს.

პსჟ-ს გარდა, რაკიტიჩის შეძენით ტურინის იუვენტუსიც არის დაინტერესებული, თუმცა ტურინელები 50 მილიონის გადახდას არ აპირებენ.

თვითონ რაკიტიჩი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## მეგან მარკლის შვილის ძიძა ფოტოობიექტივმა დააფიქსირა



პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ფანებმა ერთ-ერთ ფოტოზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს არის გადაღებული, შავ სამოსში გამოწყობილი ქალი შენიშნეს და ივარაუდეს, რომ ის ოთხი თვის არჩის ძიძაა.

ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თავიანთი ათდღიანი ტური დაიწყეს და კეიპტაუნის აეროპორტში ბრიტანეთის ავიახაზების თვითმფრინავით ჩაფრინდნენ. 38 წლის მეგან მარკლი თვითმფრინავის ტრაპზე ეშვებოდა, რა დროსაც ხელში თავისი ოთხი თვის შვილი ეჭირა. ყურადღებიანმა ფანებმა სამეფო წყვილის ფონზე შავ კარდიგანში გამოწყობილი ქალი შენიშნეს. ის ტრაპზე დაეშვა და მოღიმარ სამეფო წყვილს უკან გაჰყვა.

ეს ძიძის მეორე გამოჩენაა საზოგადოებაში. პირველად ის იმ დროს შენიშნეს, როდესაც პრინცი ჰარი და მეგან მარკლი სამხრეთ საფრანგეთში ელტონ ჯონს სტუმრობდნენ. მაშინაც ქალს შავი სამოსი ეცვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძიძა სამეფო წყვილის რეზიდენციაში არ ცხოვრობს, მაგრამ მოგზაურობის დროს მათ ყოველთვის თან დაჰყვება. ის მესამე ძიძაა პრინც არჩისთვის. პირველი თითქოსდა არასაკმარისად პროფესიონალი აღმოჩნდა, ხოლო მეორე მხოლოდ ღამის საათებში სამუშაოდ იყო დაქირავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ძველად საქართველოში; 3. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. მონღოლთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. პოლიგრაფიული საწარმო; 11. მინერალური წყალი სამეგრელოში; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიეტუვაში; 14. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 16. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 17. ქარის მიმართულების მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 21. აეროპორტი პეკინში; 22. იაპონური ავტომობილი.

**თარაზულად**: 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 8. ილეთი ჭიდაობაში; 9. სისხლნაკლებობა; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვის სანაპიროზე; 13. ფრანგი მწერალი; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 21. თაღლითი ბანქოს თამაშში; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული კონფერენცია; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

